ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

№ 111
მაისის 30, ხუთშაბათი, 1902 წ.

1877

# ივერია

1902

№ 111
მაისის 30, ხუთშაბათი, 1902 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერიის“ ხელის-მომწერლებს**

ვისაც ხუთის მანეთის მეტი არ შემოუტანია დღემდე, ვთხოვთ დააჩქაროს დანარჩენის წარმოდგენა. უამისოდ 10 ივნისიდან გაზეთის გზავნა მოისპობათ. (6—1)

**მაისის 16-დგან „ივერიის“ რედაქცია გადმოვიდა სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, გალერეია №№ 117 და 118, თ. გრ. ნ. დიასამიძის სტამბის გვერდით.** (10—10)

**პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი**

**„ი ვ ე რ ი ა“**

ღირს ექვს მანეთად და ათ შაურად (6 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ხელის მოწერა მიიღება:**

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

**ქუთაისში:**—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათუმში:** მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).

**ბაქოში:**—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

**ხონში:**—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ზუგდიდში:**—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

**გაზეთი „ი ვ ე რ ი ა“**

**რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,**

გადადის საკუთრებად **„ივერიის“** ამხანაგობის ხელში.

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაჩნაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, დოდობერიძე, ნიკოლოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

**ღვთის-მოყვარულთა ქრისტეანეთა მიმართ**

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ზეჰაემა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზე და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა ავაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზედ.

ვიმედოვნებ ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ვთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

**ჩემი ადრესი:**

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагореви, причетнику Алексѣю Арганашвили. (5—у.—4)

**ქართველ ქალთა ამხანაგობა**

სამკერვალოსა და სახლოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საქარავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგავს და საცვლებზე ამოჰკრავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა № 12.

**ექიმი ალექსანდრე გიორგის ძე მაღალაშვილი**

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე; საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5 ივნისიდან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ იქნება

**სარეპეტიციო და მოსამზადებელი კლასები**

მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კავკავის კორპუსისათვის.

მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და პერ. მიხ. კორსანიძე.

**მაისის დამლევს დაიწყობა**

**არტისტიული მოგზაურობა**

ტფილისის ქართულ დრამატიულ დასისა

**ვალერიან გუნიას გამგეობით**

მსახიობნი ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, გივიშვილი, ბ-ნნი: გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, ბეგლარიძე, ყალამბეგაშვილი და სხვანი.

**დროგამოშვებით მოწვეული იქნება ვლ. ალექსი-მესხიშვილი**

დასი თითო ან ორ-ორ წარმოდგენას გამართავს შემდეგ ადგილებში: ქუთაისში, ხონში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, ახალ-სენაკში, სამტრედიაში, ყვირილაში, ჭიათურაში, დუშეთში, კავკავში, ბაქოში, ალექსანდრეპოლში, განჯაში და ყარსში.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწდომი იქნება, პიესები ახალი და მოწონებული საზოგადოების-მიერ წრევანდელ სეზონში. პირველი წარმოდგენა დაიწყება ქუთაისიდან.

რეჟისორი და გამგებელი ვალ. გუნია.

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**კ. ი. გძელიშვილი.** 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

**მ. ა. თარხანოვი.** 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა 9—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**ბ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

**კ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

**სტ. ა. ვოინო**—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ბ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდისი, 1—2 ს.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ნ. თემაშიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

**მ. ი. იანჩევსკი:** ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

**კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:**

**ბ. გ. მაღალაშვილი**—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ 5 ივნისს, საღამოს რვა საათზე, საარტისტო საზოგადოების შენობაში დანიშნულია კავკასიაში სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა კრება გამგეობის წევრთა და სხვა თანამდებობის კაცთა ასარჩევად.

✦ დღეს, 30 მაისისათვის, დანიშნულია ქალაქის საბჭოს კრება. უთუოდ ეს კრებაც ისევე არ შესდგება, როგორც სამი წინანდელი კრება.

✦ გუშინ, 29 მაისს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია ქ. დუშეთში წავიდა საქმეების განსახილველად. სესია დუშეთში 2 ივნისამდე დაჰყოფს.

✦ ქალაქის სამხედრო საქმეთა საკრებულომ უკვე შეადგინა იმ ყმაწვილ კაცთა სიები, რომელნიც წელს უნდა გაიწვიონ ჯარში. ამ სიებში სულ 622 კაცია შეტანილი, აქედგან 585 ქრისტიანია, 20 ებრაელი, 1 მაჰმადიანი და 16 მწვალებელი.

✦ ქალაქის გამგეობასა და განსაკუთრებულ კომისიას უკვე შეუმუშავებია ნიხრი მეეტლეებისათვის. ეს ნიხრი საბჭოს წარედგინა დასამტკიცებლად. ახალის ნიხრით რეზინის თვლებიანი ეტლი ერთ საათში ღირს 70 კაპ. რკინისა—60 კაპ., ერთ ცხენიანი—40 კაპ. ერთ გზობისათვის შემდეგი ნიხრია: რეზინიანი—35 კაპ., რკინისა—30 კაპ., ერთ-ცხენიანი—20 კ. ავლაბარსა, ნავთლუღსა, დიდუბესა და რკინის გზის სადგურში წასვლა-წამოსვლისათვის სხვა ნიხრია.

✦ შაბათს, 1 ივნისს, მოხდება კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების კრება. ამ კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს კომისიის მოხსენება ტფილისის მილის წყლის გამოკვლევის შესახებ.

✦ ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებელში ეგზამენები 27 მაისს დასრულდა.

✦ ამ ჟამად ტფილისშია ფრანგი მწერალი ანდრე შერადამი.

✦ ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს არ დაუმტკიცებია საბჭოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შემახაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთ ქალაქის მიწები მიეცეთ იჯარით.

✦ ბუნების მეტყველებისა, ანტროპოლოგიისა და ეტნოგრაფიის საზოგადოებას ტფილისის გუბერნიაში თავისი წევრი დ. ი. არაყიშვილი გამოუგზავნია საეტნოგრაფო გამოკვლევებისათვის.

**სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების კრება.** გუშინ-წინ, 28 მაისს, საარტისტო საზოგადოების შენობაში კრება იყო კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა. გამგეობის თავმჯდომარემ კრების დაწყებისათანავე განაცხადა, რომ ამ საღამოს თავმჯდომარედ სხვა ამოირჩიეთო. კრებამ თავმჯდომარედ ბ-ნი გრუზენბერგი აირჩია. კრებას პირველად წაუკითხეს გ. ამირაღოვისაგან შემოტანილი განცხადება წარსულ კრების უკანონობის შესახებ: წარსული კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნენ გამგეობის წევრნი, უნდა ჩაითვალოს უკანონოდ, პირველად იმიტომ, რომ კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდნენ იმისთანა წევრნი, რომელთაც საწევრო ფული არ ჰქონდათ გადახდილი, რასაც წესდება უკრძალავს, და მერე იმიტომ, რომ კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო ერთმა ყმაწვილმა, ერთ ერთ ქართულ გაზეთის რეპორტიორმა, რომელიც 17—18 წლისა იქნებოდა, ხოლო ამისთანა წლოვანობის ყმაწვილს წევრად ყოფნა არ შეეძლო საზოგადოების წესდების ძალით. ამას დავუმატოთ ისიც, რომ საწევრო ფული გადახდილი არ ჰქონდა იმ ყმაწვილსაო. ეს უკანასკნელი ფაქტი შემიძლიან დავამტკიცო მოწმის ვ. თუმანიშვილის ჩვენებით, რომელმაც დაინახა, რომ ყმაწვილმა კაცმა ყუთში კენჭი ჩააგდო. აი, ამიტომ ვთხოვ საზოგადოებას წინანდელი არჩევნები გააუქმოს და მოხდეს ახალი არჩევნები; თუ არა-და, ვსთხოვ კრებას წარსულ კრების ოქმის კოპიო მომცეს გუბერნატორთან წარსადგენადაო.

ბ-ნმა მიტკევიჩმა განაცხადა, წარსულ კრებაზე მე ბოლომდის არ დავრჩენილვარ და ამიტომ არ შემეძლო ჩემის სურვილით, როგორც ოქმშია მოხსენებული, ყუთი დამედგმევინებინა.

კრება შეუდგა გ. ამირაღოვის განცხადების განხილვას. ბ-ნმა შევალიემ მოახსენა კრებას, წესდება არ უკრძალავს კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღებას იმ წევრთ, რომელთაც საწევრო ფული არ შემოუტანიათ (ამასთან ბ-ნმა შევალიემ ჩამოსთვალა წესდების რამდენიმე მუხლი, რომლებიდგანაც ნათლად სჩანდა არჩევნების კანონიერება). რაც შეეხება მას, განაგრძო მან, რომ ყმაწვილმა კაცმა ყუთში კენჭი ჩააგდო, ეს არაფრით არა მტკიცდება. თუ გინდა ვსთქვათ, იმ ყმაწვილმა კიდეც ჩაჰყარა კენჭები, მაშინაც დავრწმუნდებით, რომ (თუ გავსინჯავთ ვის რამდენი კენჭი ერგო) ერთს კენჭს საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელობა არ ექმნებოდა და ამ რიგად ეს თრივე საბუთი ეოკლდს სიმართლეს მოკლებულია. ბ-ნ მატკევიჩის განცხადებას-კი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც შესაძლებელია, რომ მასა კენჭები სხვისთვის ჩაეყარათ და კიდეც ამოერჩიათ და ამ მხრივ, ჩემის აზრით, უკანონოდ უნდა ჩაითვალოს არჩევნები.

ბ-ნმა ხიდდეკელმა სთქვა, რომ ბოლოს დროს რამდენსამე კაცს კენჭები არ ეყო ჩასაყრელად და ვეღარც ჩაჰყარესო.

ბ-ნმა ლავროვმა შენიშნა, მართალია, კენჭები დაგვაკლდა, მაგრამ მალე მოვიტანეთ და ყველამ ჩაჰყარაო. ამის დასამტკიცებლად მან ჩამოსთვალა სულ შავი და თეთრი კენჭი, თითონ რამდენი ერგო. გამოვიდა, რომ ლავროვს 48 კენჭი ჰრგებია და დანარჩენებს თითოს 46 კენჭი.

ბ-ნმა ზურაბიშვილმა მოახსენა კრებას, რომ არჩევნები სრულიად კანონიერი იყო, მაგრამ მითქმა-მოთქმის ასაცილებლად ხელ-ახლად ავირჩიოთ გამგეობის წევრნიო.

ამ დროს გამგეობის წევრებმა განაცხადეს, რომ ჩვენს თანამდებობას თავს ვანებებთო.

კრება შეუდგა იმის განხილვას, ამ საღამოს მოეხდინა არჩევნები, თუ სხვა დროს.

ბ-ნ ზურაბიშვილის აზრით, საჭიროა კრება სხვა დროისთვის გადიდვას, რადგანაც მაშინ, ბევრი, რომელიც დაინტერესებული არ იყო დღევანდელი დღის არჩევნებით, შეიძლება დაინტერესდეს მთელის გამგეობის წევრთა არჩევანით და გამოცხადდეს. კრებამ არჩევნები სხვა დროისთვის გადასდო.

კრების უმეტესმა ნაწილმა მაინც განაცხადა სურვილი დაედგინათ, წარსული კრება კანონიერი იყო, თუ არაო. უყარეს კენჭი ამ საგანს და აღმოჩნდა, რომ 29 წევრს კრება კანონიერად მიაჩნდა, 6-სს უკანონოდ. გამგეობის წევრთ მონაწილეობა არ მიუღიათ ამ კენჭის ყრაში. ამ რიგად გადაწყდა, რომ კრება კანონიერი იყო. ბ-ნი კრინიცკი თხოულობს, რომ კრებამ გაარჩიოს, რამდენად შესაფერია ის სიტყვები, რომლითაც ამირაღოვმა მიჰმართა კრებას და რომლითაც თითქოს ემუქრება, უნდა შეაშინოს კრება, ჩემი აზრი მიიღეთ, თორემ გუბერნატორთან გიჩივლებთო. ზოგიერთებს უნდოდათ კრებას ბ-ნ კრინიცკის წინადადება არ მიეღო. ბ-ნმა ზურაბიშვილმა დაუმატა, გ. ამირაღოვის განცხადებაში განვიხილეთ ის, რამაც კრებას უკანონობას სწამებდა და აღმოჩნდა, რომ მისი საბუთები ყოვლად უსაფუძვლო იყოვო; ახლა განვიხილოთ ის, რამაც თვითონ შეურაცხყოფს საზოგადოების წინაშე ბრალი. კრებამ განიხილა ეს საგანი და სხვა მრავალ წინადადებათაგან მიიღო ვასილ წერეთლის წინადადება: კრებამ, განიხილა-რა ამირაღოვის განცხადება და სცნო-რა მისი სიტყვები შეუფერებლად და უადგილოდ, დაადგინა, გამოუცხადოს ამის შესახებ თვისი მწუხარება.

## საქართველოს ამბები

როგორც ხონიდგან გვატყობინებენ, ჩიქოვანების მამულში შავის-ქვის მადანი აღმოჩენილა. ამ მადნიდგან ამოღებული რამდენიმე ფუთი შავი-ქვა ერთის ფირმის მოთხოვნილებათ

რკინის გზის სადგურზედაც გადაუტანიათ. სამთო გამგეობისაგან ნება-რთვის აღებამდე წარმოება შეჩერებულია.

—

„კავკაზს“ მიერ მიღებულის ცნობებით, წელს ტფილისის გუბერნიაში საერთოდ საშუალო მოსავლის იმედი აქვთ. ბევრს ადგილას ჯეჯილი დააზიანა უთოვლო ზამთარმა, ქარიანმა გაზაფხულმა და სიცივეებმა აპრილის პირველ რიცხვებში. ზოგგანაც თაგვი გაჩნდა. თაგვისაგან უფრო დაზარალდნენ ტფილისის მაზრა, რამდენიმე საზოგადოება ბორჩალოსა და სიღნაღის მაზრებისა და შილდის საზოგადოება თელავის მაზრისა. ერწოთიონეთში მოსავალი წაახდინა ერთგვარმა მწერმა, რომელსაც „მჭრელს“ ეძახიან. კარგის მოსავლის იმედი აქვთ დუშეთისა და თიანეთის მაზრებში, თელავის მაზრის ნაწილში და ტფილისის მაზრის სართი-ჭალის საბოქაულოში.

—

17 მაისს თელავის მაზრის სოფელ ქანაანში სეტყვა მოსულა. სეტყვას წაუხდენია ვენახები, ბაღები და თუთის ხეები.

—

როგორც „ცნ. ფურც.“-ს შეუტყვია, ქუთაისის ქალაქის თვით-მმართველობა შუამდგომლობის აღძვრას აპირებს თურმე უმაღლესის მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ქუთაისში რკინის გზის სასწავლებელი იქმნას დაარსებული.

—

ბათუმის ოლქის კონტრიშის ნაწილის უფროსი კაპიტანი თავ. ლიონიძე დანიშნულ იქმნა რაჭის მაზრის უფროსის თანამდებობის ამსრულებლად.

—

**ს. მიქელ-გაბრიელი** (გურია). † **თ. გ. ბოლქვაძე.** ამ ათის წლის წინად ჩვენი სოფელი ძალიან უკან ჩამორჩენილი იყო ყველაფრით. სკოლა სულს ჰლევდა „პარტიობის“ მეოხებით, განათლება კუს ნაბიჯითაც ვერ მიდიოდა წინ, ჟურნალ-გაზეთი და წიგნების კითხვა სახსენებლადაც არ იყო. დღეს უკვე კარგის შენობით დამშვენებული სასწავლებელი და საკმაოდ ძირ-გამაგრებული წიგნთ-საცავ-სამკითხველო მაშინ ზოგიერთის ოცნება იყო მხოლოდ. თან-და-თან უნუგეშო ბურუსი გაიფანტა, სოფელს „წვრილ-შვილნი“ წამოესწრნენ და მის გაუმჯობესების საქმეს მიჰყვეს ხელი. ამ „წვრილ-შვილთა“ მცირე გუნდს შავმა მიწამ გამოაკლო ერთი მხნე და პატიოსანი მუშაკი, ამ სოფლის შვილი, ახალგაზდა თეოფილე გაბრიელის ძე ბოლქვაძე. ამ კაცს არ გაუვლია ჩვენის სასწავლებლების „დარჯაკები“, ძლიერ მცირე შეძლების პატრონი იყო და ამიტომ სამსახურით სცხოვრობდა, მაგრამ საღმა ბუნებრივმა ნიჭმა და განვითარებამ მაინც იქამდე აუმაღლა გრძნობა-გონება, რომ მისის სოფლის ავ-კარგი გულის სიღრმემდე სწვდებოდა. ჩვენ ბევრჯელ ვყოფილვართ ამისი მოწმე. ბევრს ახალ-გაზრდას მიუღია მისგან დახმარება იდუმალ, მისის ზნეობრივ-ქონებრივის დახმარებით გვაქვს წიგნთ-საცავ-სამკითხველო, რომელსაც ბევრი პატარა დაბაც ინატრებდა. რამდენიმე წელიწადია აქაურ სასწავლებელს უცნობი უწერდა „ჯეჯილს“. აი, ამ უცნობმა სიკვდილის წინ გამოიღო სასთუმალიდგან ხუთი მანეთი და ძმას გადასცა: „იანვრიდგან ერთ წელიწადს კიდევ გამოუწერე ჩვენის სკოლის პატარა მკითხველებს „ჯეჯილი“, ჩემო ძმაო, ჩემს შემდეგა“-ო, და ოცის წუთის შემდეგ სული დალია. დამწუხარებულ ჭირისუფალ ნათესავებთან ერთად ამ კაცს ცრემლი დააყარეს მისმა თანამოაზრე აქაურმა ინტელიგენტებმა და მიქელ-გაბრიელის ორისავე სკოლის შეგირდებმა, რომელთაც ბედმა მათი ყურის-მგდებელი წაართვა და 23 მაისს შეგირდებმა კუბო გვირგვინით შეამკეს. ჩვენის სოფლის ავკარგის მოგონებასთან ერთად თეოფილე ბოლქვაძეც დაუვიწყარი იქნება ჩვენს გულში. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო კაცო, გულ-მოდგინე მუშაკო!

ვ. ჩხაიძე.

# უცხოეთი

**ინგლისი.** ხალხივით პარლამენტიც აღტაცებით მიეგება ზავის დადების ამბავს. ბალფურისა და კემპბელ-ბანერმანის სიტყვების შემდეგ დეპუტატთა უმრავლესობა დარბაზიდგან გავიდა და ცხარე კამათს შეუდგა ზავის პირობათა შესახებ. საერთოდ დეპუტატებს მოსწონებიათ ზავის პირობანი. მხოლოდ ორიოდე შეურიგებელი კონსერვატორი გაიძახის, რომ მთავრობამ ძალიან ბევრი დაუთმო ბურებსაო. პირ-იქით რადიკალთა აზრით, ინგლისს უფრო მეტი დიდ-სულოვნება უნდა გამოეჩინა და ბევრად უფრო მეტი ფული უნდა გადაედო დაქცეულ ფერმების აღსადგენად. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ირლანდიელნი რადიკალებზედაც შორს მიდიან: ისინი აცხადებენ, რომ ბურებისათვის დამოუკიდებლობის ჩამორთმევა მუდამ ინგლისის შემარცხვენელი იქნება; ინგლისმა სამხრეთ აფრიკაში „მეორე ირლანდია გაიჩინა, მხოლოდ უფრო ძლიერიო“.

ამბობენ, ფორმალურ ხელშეკრულების გარდა, კიტჩენერმა დამატებითი პირობანი დაუდო ბურებს, რომლებშიაც მეტ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ჰპირდებაო. ოფიციალური ხელ-შეკრულობა დაწერილია თურმე შოვინისტთა და წრეს გადასულ პატრიოტთა დასაკმაყოფილებლად, ნამდვილი ხელშეკრულობა-კი საიდუმლოდ ინახება.

კმაყოფილია ზავის პირობებისა ინგლისის პრესსაც. ორიოდე კონსერვატიული გაზეთი-ღა გაიძახის მხოლოდ, რომ ბურებს სასტიკად უნდა მოვქცეოდითო. „Morn. Post“-ი, მაგალითად, დიდად უკმაყოფილოა კიტჩენერის, ცნობილ პროკლამაციის გაუქმებისა. ეს პროკლამაცია რომ ძალაში დაენარჩუნებინათ, სამხრეთ-აფრიკიდგან უნდა განედევნათ ზავის დადების შემდეგ ბურთა წინამძღოლნი. რაღა თქმა უნდა, ასეთის პირობით ბურები იარაღს არ დაჰყრიდნენ და მშვიდობიანობაზედ არ დასთანხმდებოდნენ.

გაზეთების სიტყვით, მოხუცს კრიუგერს სამხრეთ-აფრიკაში ჰსურს თურმე დაბრუნება. ამბობენ, ინგლისის მთავრობა ამის წინააღმდეგი არ არისო. სამაგიეროდ ლეიდსი კანონიერად არა სცნობს ზავის დადებას და ამიტომ ევროპაში რჩება. არგენტინის მთავრობა დიდ ადგილს უთმობს ბურებს, თუ ისინი ამერიკაში გადასახლებას მოისურვებენ.

კიტჩენერი ეხლა უთუოდ მალე დაბრუნდება ინგლისში. პირველ ხანს ახალ ახალშენების საქმეთა განსაგებად უმაღლეს კომისარ მილნერთან შესდგება განსაკუთრებული კომისია. ჯარს ინგლისი თან-და-თან წაიყვანს სამხრეთ-აფრიკიდგან. ზოგ რაზმებს ეხლავე დასხამენ გემებზედ და გაჰგზავნიან ინგლისში გვირგვინის კურთხევის დღესასწაულებზედ დასასწრებად. პრეტორიასა, ბლუმფონტენსა და სხვა ადგილში დროებით მეციხოვნეებს დასტოვებენ. სულ პირველ ხანს სამხრეთ-აფრიკაში ინგლისი 100 ათას ჯარისკაცს დასტოვებს.

საერთო სიხარულის მიუხედავად ზოგი პესიმისტობითაა გამსჭვალული და მომავალს სანუგეშო თვალით არ უყურებს. „სიხარულმა არ უნდა გაგვიტაცოს, სწერს ერთი ინგლისური გაზეთი, უნდა ვახსოვდეს, რომ მშვიდობიანობის დასამყარებლად სამხრეთ-აფრიკაში საკმაო არ არის ზავის დადება; ჯერ კიდევ ბევრი დრო გავა, ვიდრე მოქალაქობრივობა და წეს-რიგი დამყარდება იქა. უნდა გვახსოვდეს, რომ ზავი საკმაო არ არის იმ სიძულვილის ამოსაფხვრელად, რომლითაც ჩვენდა მომართ ბურები განიმსჭვალნენ ამ ბოლო დროს“.

**ავსტრ-უნგრეთი.** ავსტრიასა და უნგრეთს შორის დამოკიდებულება ამ ბოლოს დროს მეტად გამწვავდა. სამი თუ ოთხი წელიწადია ეკონომიური განხეთქილება სუფევს ამ ორ სრულიად დამოუკიდებულ, მაგრამ ამავე დროს ერთ სამეფოს ფარგალში მოქცეულ სახელმწიფოს შორის. ხანგრძლივის მოლაპარაკების მიუხედავად სამინისტროებმა ვერ მოახერხეს სამეურნეო ხელ-შეკრულობის დადება. დღემდე ავსტრია უფრო იყო მოწადინებული და უფრო სცდილობდა შეთანხმებას, ვიდრე უნგრეთი. მაგრამ დღეს საქმე შეიცვალა. ამას წინად ავსტრიის მინისტრ-პრეზიდენტმა კერბერმა პირდაპირ განაცხადა სენატში, რომ ხელშეკრულების დადება შეუძლებელი ხდება და ადვილი მოსალოდნელია ავსტრია და უნგრეთი ეკონომიურად დაშორდნენ ერთმანეთსაო. უნგრეთის განსაცვიფრებლად კერბერის სიტყვებს სენატი ტაშის ცემით მიეგება. ავსტრია მუდამ შიშობდა, უნგრეთისაგან ეკონომიურად დაშორებას და უნგრელებს ყოველთვის ეგონათ, რომ ავსტრია ამ შიშის გამო ყველაფერს დაგვითმობსო. ყველა ამის გამო ადვილი შესაძლებელია, ავსტრიასა და უნგრეთს შორის ეკონომიური კავშირი მოისპოს, ხოლო თუ ეს მოხდა, ეჭვს გარეშეა, რომ შეკავშირებული სახელმწიფონი პოლიტიკურადაც განშორდებიან და ამ რიგად ერთის ნაცვლად ორი სრულიად დამოუკიდებელი სამეფო გაჩნდება. გაზეთები სწერენ, რომ ეს დაშორება და განცალკევება უნგრეთისთვის უფრო სავნო და საზარალო იქნება, ვიდრე ავსტრიისთვისაო.

**საფრანგეთი.** დეპეშიდგან უკვე უწყიან მკითხველებმა, რომ პრეზიდენტმა ლუბემ სამინისტროს შედგენა სენატორს კომბს მიენდო. კომბის საზოგადოება კარგად ვერ იცნობს, რადგან იგი მხოლოდ ერთხელ იყო კაბინეტის წევრად. მაგრამ, ვისაც თვალ-ყური უდევნებია საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებისათვის, ყველანი იცნობენ კომბს, როგორც გამორკვეულ შეხედულობის საპოლიტიკო მოღვაწეს და ჩინებულს საპარლამენტო მუშაკს. კომბი დაიბადა 1835 წ., ასე რომ დღეს იგი 67 წლისაა, საექიმო განათლება აქვს მიღებული. საზოგადო მოღვაწეობას მან ხელი მიჰყო 1875 წ., როცა ქალაქ პონსის მერად აირჩიეს ქვემო შარანტის დეპარტამენტში. 1885 წ. იმავე დეპარტამენტმა კომბი თავის წარმომადგენლად ამოარჩია სენატში. ამის შემდეგ კომბი სენატს აღარ განშორებია. სენატისთვის მას არა ერთხელ წარმოუდგენია სხვა-და-სხვა კომისიების მოხსენება. 1894 წ. სენატის ვიცე-პრეზიდენტობა მიიღო. 1895—1896 წლამდე კომბი იყო საერო განათლებისა, სარწმუნოებათა და ხელოვნებათა მინისტრად ბურჟუას კაბინეტში. იმის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა საერო განათლების საქმეები და ბევრჯელაც წარუდგენია წინადადება ზოგიერთ სასურველ რეფორმის მოსახდენად. კომბის პოლიტიკური რწმენა უფრო რადიკალთა დასის მიმართულებას უახლოვდება. სხვათა შორის, კომბი თავმჯდომარედ იყო სენატის იმ კომისიისა, რომელიც ასსოციაციათა კანონ-პროექტს არჩევდა; კომბი მხურვალედ იცავდა ამ პროექტს, რითაც კლერიკალები გადაიმტერა.

**ანტილიის კუნძულები.** „Figaro“-ში დაბეჭდილია ნაამბობი ვიღაც ელლერ სკოტტისა, რომელიც სენ-პიერის უბედურების დროს სენ-პიერის ნავთ-სადგურში ყოფილა გემზედ. აი რა უთქვამს სკოტტს: „თენდებოდა, როდესაც მარტინიკის კუნძულს მივადექით. დილის ექვს საათზედ ღუზა ჩავუშვით და ნავთ-სადგურის მახლობლად გემი გავაჩერეთ. მალე აგენტიც მოვიდა და მუშები გემის გადატვირთვას შეუდგნენ. ამ აგენტმა გვიამბო, რომ წარსულ შაბათიდგან პელეს მთა ფერფლსა და ნაცარ-ტუტას ისვრისო; ფერფლით მთელი ქალაქია დაფენილიო. ისიც დაუმატა, რომ ეხლა ვულკანი წყნარდება და შეიძლება მალე სულ ჩაჰქრესო. ჩვენს მახლობლად ნავთ-სადგურში 18 სხვა გემი იდგა. ლაპარაკში ვიყავით, როდესაც უცნაური და მოულოდნელი მოვლენა მოხდა: ჰაერი ძლიერად შეირყა და მოეჩვენა, თითქოს ვიღაცამ ხელი მკრაო. ამ დროს ყვირილიც მომესმა: აბა უყურეთ, რა ამბავია! გავიხედე პელეს მთისაკენ და გავშტერდი. აღწერა არ შეიძლება იმისა, რაც დავინახე. პირველ ხანს გავიფიქრე, რომ მეორედ მოსვლა იყო. კაცს ეგონებოდა, დიდ ძალი დინამიტი შეუწყვიათ მთის ქვეშ და აუფეთქებიათო. ვულკანიდგან ალის უზარმაზარი ბურთი ამოვარდა. ავიდა ზევით ეს ბურთი, შემდეგ გაიშალა, გაგანიერდა და წვიმასავით დაეშო მიწაზედ. ცვიოდა ზევიდგან ცხელი ფერფლი, ქვა. გემზედ ყველაფერი აირია; ყველგან ცეცხლი გაჩნდა. აქა-იქ დახოცილნი ეყარნენ. ორჯელ ამ დახოცილთა ქვეშ მოვყევი, მაგრამ ვიღამაც ამომიყვანა. სენ-პიერისაკენ გავიხედე და ქალაქის ნასახიც ვეღარ დავინახე“. ამ წვალებაში გაუტარებიათ სამი საათი. შემდეგ საფრანგეთის ერთი გემი მოსულა და ჩვიდმეტი კაცი გადაურჩენია. აქედგან 9 კაცი გზაში მომკვდარა.

დიდი ზარალი მიაყენა ვულკანმა მარტინიკის კუნძულს. „Standard“-ის გამოანგარიშებით, მცხოვრებთ 80 მილიონ მანეთის ზარალი მოუვიდათ. აქედგან 36 მილიონის უძრავი ქონება დაღუპულა, 30 მილიონის მოძრავი ქონება და 14 მილიონისაც მანქანები, ფული და სხვა.

ამერიკელი გეოლოგები ამტკიცებენ თურმე, რომ ანტილიის კუნძულები ყველ-ერთიან დაიღუპებიანო.

# სხვა-და-სხვა წერილები

### ხმა შორიდგან

(კიდევ ნაბოძებ ფულის მოხმარების შესახებ).

დიდიდგან უმაღლეს რესკრიპტის გამოცხადებისა საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულების გამო უპირველეს სადაზნაურო საგნად, როგორც სათავად-აზნაურო კრებებზე, ისე ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ის ფული შეიქმნა, რომელიც ებოძა ქართველ თავად-აზნაურობას შვილების აღსაზრდელად. უმთავრესად სამი აზრი ტრიალებს ჩვენს საზოგადოებაში—ამ ფულის უფრო სარგებლიანად მოხმარების შესახებ. ერთის აზრის მქონენი ურჩევენ საზოგადოებას ნაბოძებ ფულის სტიპენდიებად დანაწილებას მოსწავლე ახალ-გაზრდობის დასახმარებლად საშუალო და მაღალ სასწავლებლებში, მეორე აზრის მქონენი სამეურნეო სკოლის დაარსებას თვლიან უფრო საჭიროდ, ხოლო მესამე აზრისანი დედათა სკოლის დაარსების საჭიროებაზე დადგებენ.

ვინაიდგან არც ამერეთის და არც იმერეთის თავად-აზნაურობას ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გადაუწყვეტიათ საკამათო საგანი (როგორც გაზეთები იუწყებიან, ტფილისში საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მოხდეს ამ მოკლე დროში, ხოლო ქუთაისში მომავალ შემოდგომაზე), განვიხილოთ ერთხელ კიდევ იგი. კერძო პირს, თუ მთელს საზოგადოებას მცირეოდენი საშუალება აქვს, რომლის მოხმარებაც შეუძლია თავისს საჭიროებათათვის; ყოველ მისს საჭიროებას იგი ვერ დააკმაყოფილებს და ამიტომაც უნდა ეცადოს გამოარკვიოს, აღნიშნულს დროს, გარშემო შემოხვეულ პირობების მიხედვით, რომელ საჭიროების დაკმაყოფილება უფრო მიუცილებელია; რომელი საჭიროებაა ისეთი, რომლის დაუკმაყოფილებლობაც ძირეულად ავნებს ამა თუ იმ პირს, ამა თუ იმ საზოგადოებას? ქართველებისაც აქვს დღეს წლიურად ორმოცი ათასი მანეთი, რომელიც ებოძა უმაღლესად თავად-აზნაურობის შვილების აღსაზრდელად.

ეს ფული, რასაკვირველია, წვეთია ზღვაში და ყოველს ჩვენს მოთხოვნილებას ამ მხრივ ვერ გასწვდება, მაშასადამე, უნდა გამოვარკვიოთ, რა გვარად უნდა დაიხარჯოს იგი, რომ დღეს-დღეობით მთელს საქართველოს უფრო მეტი სარგებლობა მოუტანოს?

საქართველო რომ დღეს კულტურულად უკან ჩამორჩენილია და ევროპიულად განათლებული შვილებია მისთვის საჭირო, ეს აშკარაა; აშკარაა ისიც, რომ ქართველებისთვის, როგორც უმთავრესად მხვნელ-მთესველ ერისთვის, სამეურნეო ცოდნაა საჭირო, მაგრამ კიდევ უფრო აშკარაა ის ფაქტიც, რომ დღეს ქართული ენა დიდს საფრთხეშია და, თუ ყურადღება არ ექმნა მიქცეული მის განმტკიცებას და განვითარებას, ცუდი ბოლო მოელის, ხოლო

რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს,
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას!

როგორც ეს დიდი ხანია სთქვა ჩვენმა საუკეთესო მგოსანმა-მამულიშვილმა.

მართალია, ჩვენებური ეგრედ წოდებული „მარქსისტები“ ენას მაგრე რიგად არაფრად აგდებენ და პირდაპირ აღიარებენ, ხალხის ცხოვრებაში ეკონომიურ განწყობილებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვინემ ენასო, მაგრამ ამ მხრივ ისინი დიდად სცდებიან, რადგან შეიძლება, ცალკე ადამიანთათვის ან მთელის კაცობრიობისათვის ენას

# ფელეტონი

## ტრანსვაალისა და ორანჟის რესპუბლიკების მკვიდრნი ანუ ბურები

### I

**მათი სამხრეთ აფრიკაში დასახლების ისტორია, ხასიათი, ცხოვრება და კულტურა.**

(ეტნოგრაფიული აღწერა)

მკითხველს ეცოდინება, რომ მე-XV-ტე საუკუნე ევროპის ერთათვის დასაწყისია კაცთა საზოგადო ცხოვრების ახალ მიმართულებისა. ევროპიელთა ნიჭმა დაჰბადა ბევრ გვარი ახალი ფაქტორი საზოგადოების წინმსვლელობისა: მოიგონეს საბეჭდი მანქანა, თოფის წამალი და ბევრი სხვა ისეთი, რამაც სრულიად შესცვალა საძირკველი საზოგადო ცხოვრებისა.

გმირულს ხანას ისტორიისას მოეღო ბოლო და დაიწყო ერთა კულტურული ისტორია. ევროპიელნი ერთმანეთთან ბრძოლის მაგივრად დაუკვირდნენ თავის შინაურ მოწყობილებას. დაიწყეს ზრუნვა თავიანთ ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

ამ საერთო მოძრაობამ სხვა-და-სხვა ალაგას და სხვა-და-სხვა ერში სხვა-და-სხვა მიმართულება მიიღო. მაშინ, როცა ევროპის შუა გულში ერნი დიდის თავის ტეხით და თავგანწირულობით იბრძოდნენ სარწმუნოების და საზოგადო წეს-წყობილების განკარგებისათვის, მაშინ, როცა აზიიდან გამოსულნი არაბნი და თათარნი ცეცხლითა და მახვილით სცდილობდნენ დაესაკუთრებინათ ევროპის ადგილები თავიანთ სახელმწიფოს დასაარსებლად,—ამ დროს ზღვის ნაპირას მცხოვრებნი ევროპიელნი: ჰოლლანდიელნი, პორტუგალელნი, ისპანელნი, ვენეტიკელნი და სხვანი მიისწრაფოდნენ ინდოეთისაკენ—იქ, სადაც სიმდიდრე იდვა და გაჩაღებული იყო აღებმიცემობა. ამის მიზეზი, რასაკვირველია, მარტო სიმდიდრის შეძენა არ იყო. საზოგადოდ ევროპიელთა ცხოვრებაში იჩინა თავი ბევრგვარმა პოლიტიკურმა და სოციალურმა მოვლენამ, რომელიც აიძულებდა მკვიდრს ახალი ქვეყნები მოეძებნა გადასასახლებლად. ყველა ამას რომ დავუმატოთ ზღვის ნაპირას მცხოვრებ ერთა ხასიათში გალვიძებული ცნობის მოყვარეობა, მამაცობა და ზღვით მოგზაურობის სიყვარული, ჩვენთვის ადვილი გასაგები იქნება მიზეზი იმ გახშირებულ ზღვით მოგზაურობისა, რომლითაც ხასიათდება ამ ერთა მე-XV-ტე საუკუნის ცხოვრება.

ბევრმა მამაცმა და გაბედულმა მოგზაურთაგანმა გადასწყვიტა ქვეყნიერება გარშემოევლო ზღვით და კიდეც მიაღწია ზოგიერთმა მათგანმა თავის წადილს. მათ შორის იყო პორტუგალელი „ვასკო-დე-გამაც“. „ვასკო-დე-გამა“ 1497 წ. გაემგზავრა ისპანიიდგან დასავლეთისაკენ და კაი ხნის მოგზაურობის შემდეგ ზღვაში მიაწყდა ხმელეთს. ეს იყო სამხრეთ-აფრიკის ვიწრო ბოლო ანუ კონცხი; ვასკო-დე-გამამ, გახარებულმა, დაისვენა აქ თავის ხანგრძლივის მოგზაურობის შემდეგ და დაარქვა ამ ალაგს „სან-სალვადორ“, რაიცა ჰნიშნავს პორტუგალიურად კაი იმედს. დაიმედებული რომ აქედგან ჩქარა მივაღწევ ინდოეთსა და ჩემს გულითადს წადილსაც აღვასრულებო, ვასკო-დე-გამა გაემგზავრა ისევ დასავლეთისაკენ. მისგან აღმოჩენილი ხმელეთი, სამხრეთ-აფრიკის ბოლო, ამას შემდეგ ინდოეთისაკენ მოგზაურთათვის გახდა დასასვენებელ ალაგად და ამის გამო მე XV-ტე საუკუნის ბოლოს ჰოლანდიელებსა და ისპანელებს კარგად ჰქონდათ გაცნობილი ეს ადგილები. დაარქვეს ამ ადგილებს „კაპლანდი“, რაც ჰოლლანდიელების ენაზე ხმელეთის ვიწრო ბოლოს ჰნიშნავს.

აქ დასახლებას კაი ხანი ვერავინ ვერ ჰბედავდა. არავის არა ჰქონდა ხეირიანად შესწავლილი აქაური ბუნება და აქაურ მკვიდრთა ხასიათი; კაფრები და გოტენტოტები თითქმის ყველას წარმოდგენილი ჰყავდათ საშინელ გაველურებულ მხეცებათ. რა თქმა უნდა, ამისთანა ხალხში ვერავინ გაჰბედავდა დასახლებას.

1648 წ. ერთმა ჰოლლანდიელმა ბუნების მეტყველმა, სახელად ვან-რიბეკმა, ინდოეთში მოგზაურობის დროს კაი ხანი გაატარა კაპლანდში. მეცნიერს მეტად მოეწონა მდიდარი ბუნება და კარგი მდებარეობა კაპლანდისა. მისი მეურნეობისათვის საუცხოვო და ხელუხლებელი მიწები, ვან-რიბეკის აზრით, საუკეთესო ალაგს წარმოადგენდა ჰოლლანდიელთა საცხოვრებლად და ვან-რიბეკმაც გადაჰკრით გადასწყვიტა ამ ალაგს ჰოლლანდიელები გადმოესახლებინა. ჰოლლანდიაში დაბრუნებისათანავე შეუდგა თავის აზრის აღსრულებას. მან მიჰმართა ესრედ-წოდებულ „ოსტ-ინდიის აღებმიცემობის ამხანაგობას“ შემწეობისათვის. მდიდარმა „ოსტ-ინდიის ამხანაგობამ“ არ დაიშურა ამ მისთვის სახეირო საქმისათვის ფული და საკმაოდ დიდ ფულს გარდა დაუთმო მუქთად ვან-რიბეკს ხომალდები. 1651 წ., ექვს აპრილს ჰოლლანდიელები ექვსის ხომალდით მიადგნენ კაპლანდიის იმ ადგილს, სადაც ახლა ქალაქი კაპშტადტი, არის. ახლად გადმოსახლებულებმა ევროპიელებმა შეაფარეს თავი დროებით კარავებსა და წნულ ქოხებში და შეუდგნენ სახლ-კარის მოწყობას.

რა თქმა უნდა, პირველნი დღენი აქ გადმოსახლების შემდეგ მათთვის მეტად საგრძნობელი და სახიფათო იყო. არც სადმე ჭირნახული, არც რამე ქონება, არა ჰქონდათრა გადმოსახლებულთ. უცნობ ადგილას, უცნობ და მეტადრე შავ-კანიანთა შორის ცხოვრება მათთვის დიდი სატანჯველი იყო. ამ შავ დღეში ჩავარდნილებმა ამოირჩიეს ვანრიბეკი თავის გუბერნატორად და მიანდეს მის ჭკუასა და გამჭრიახობას თავიანთი ბედიღბალი. ვან-რიბეკი იშვიათი გუბერნატორი გამოდგა და საუცხოვოდ აასრულა თავისი მძიმე დანიშნულება. გუბერნატორმა ნელნელა მოაწყო ახალშენის შინაური საქმეები და დააწესა წესი და რიგი თავის ქვეშევრდომთა ცხოვრებაში.

შავ-კანიანი გოტენტოტები და კაფრები მტრულის თვალით უყურებდნენ თეთრ-კანიანებს-ჰოლანდიელებს. ეს გარემოება მეტად აფერხებდა ჰოლანდიელების მოწყობას; საჭირო იყო დიდი ტაქტი და წინდახედულობა ამ დაბრკოლების ასაშორებლად. ვან-რიბეკს კარგად ესმოდა, რომ გოტენტოტების დამშვიდება და დამორჩილება შეუძლებელი იყო ძალით და ამიტომ ყოველის ღონისძიებით სცდილობდა თვითონ გოტენტოტებს შეეყვარებინათ და დასძმობილებოდნენ ჰოლლანდიელებს. ამ აზრით ვან-რიბეკმა სასტიკად აუკრძალა ჰოლლანდიელებს გოტენტოტების შეურაცხყოფა და გაგულისება და ურჩევდა შეეყვარებინათ ყოველის მხრივ თავი გოტენტოტებისათვის.

ამ ტაქტით ვან-რიბეკმა ჩქარა მიაღწია იმას, რომ მართლადაც გოტენტოტებმა ჰოლლანდიელები დაიმეგობრეს და დაიძმობილეს. რამოდენსამე ხანში ჰოლლანდიელებმა დაიმორჩილეს ახლო-მახლო მცხოვრები გოტენტოტები და ჩაიგდეს ხელში მათი მიწები. რასაკვირველია, გოტენტოტებისაგან დათმობილი ადგილები შეუმუშავებელი, თითქმის ხელ-უხლებელი ყამირები იყო. გოტენტოტებმა, როგორც ველურმა ხალხმა, მეურნეობისა სრულიად არა იცოდნენ-რა. ჰოლანდიელებმა დაიწყეს მიწის შემუშავება და მეურნეობა. ხვნათესვამ, ბაღების გაშენებამ და კულტურულმა შრომამ გააკვირა ველური ხალხი და გოტენტოტები დიდის ხალისით სცდილობდნენ თვითონაც ჩაბმულიყვნენ ამ საქმეში. ასე თუ ისე გოტენტოტებმა მცირე შველა არ გაუწიეს ჰოლლანდიელებს მამულების მოვლაში

არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდეს, ხოლო ამა თუ იმ განსაზღვრულ ეროვნებისათვის ენას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ქართველებს, თუ ქართული აღარ ეცოდინებათ და რომელსმე სხვა ენაზე დაიწყებენ ლაპარაკს, ქართველებიც აღარ დარჩებიან და „საქართველო“ მხოლოდ გეოგრაფიულ ტერმინად შექმნება. „ვინ ამბობს, რომ ქართული ენის წარმატებას დღევანდელ პირობებში არ უხოულობდეს ქართველი ხალხის უმრავლესობის კეთილდღეობა, მაგრამ ისინი, ვინც დღეს ქართულად ლაპარაკს ვეღარ ახერხებენ და ქართული ენის შესწავლისათვის ზრუნავენ, ამ უმრავლესობისათვის მაინც სამუდამოთ დაკარგულია“-ო, ამბობს, მაგალითად, ბ-ნი მოსაუბრე თავის წერილში: „ქალთა დასაცველად“ („კვ“. № 19, 1902 წ. გვ. 304).

ბ-ნ მოსაუბრეს რომ ვკითხოთ, რასაკვირველია, აგვიხსნიდა, რომ ქართველები ეკონომიურად გაღატაკებულიყვნენ, ქართველების უმრავლესობა მატერიალურად სრულიად დაკმაყოფილებულიყო და, თუნდ ქართული ენა მოსპობილიყო კიდეც, ხოლო მე წინადაც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ მირჩევნია, ქართველი ღარიბ ქართველად დარჩეს, ვინემ გამდიდრდეს და გადაგვარ-გადარჯულდეს. „არა ერთითა პურითა სცხონდეს კაცი“-ო, სთქვა იესო ქრისტემ და მართლაც, თუ ცალკე პირს, გარდა თავისის მატერიალურად უზრუნველყოფისა, არაფერი ასულდგმულებს, არა აქვს რაიმე წმიდა საგანი ცხოვრებაში, უბრალო პირუტყვს დაედარება; აგრეთვე, თუ მთელს კრებულს არ ასულდგმულებს არც სამშობლოს სიყვარული, არც დედა-ენა, არც მამა-პაპათა პატივისცემა და გატაცებულია მხოლოდ ქონებრივად გამდიდრების სურვილით, უბრალო მხეცთა ხროვას დაემსგავსება.

ავიღოთ მაგალითისთვის წარსული საუკუნე და ვნახოთ, მის განმავლობაში ვითარდებოდა ქართული ენა, ერთს დონეზედ იდგა, თუ უკან იწევდა? გადაათვალიერეთ ამ საგნის გამოსარკვევად ჩვენ პოეტ-ბელლეტრისტ-პუბლიცისტთა უკანასკნელი დროის ნაწერები და დამეთანხმებით, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენა არამც თუ ილია ჭავჭავაძისა და აკაკის ენაზედ, ბ.ბ. ნ. ლომოურისა, ს. მგალობლიშვილისა და სხვა უფრო ახალ მწერალთა ენაზედაც ბევრით დაბლა დგას. რუსეთში პუშკინისა და ტურგენევის ენა, თუ უფრო არ გაუმჯობესებიათ, არ წაუხდენიათ მაინც ჩეხოვს, კოროლენკოს და მაქსიმ გორკის, ხოლო ჩვენში, რომელიც გინდათ ახალგაზდა ნიჭიერი პოეტი, ან ბელეტრისტი, პუბლიცისტებს თავი დავანებოთ, დამისახელეთ, რომ წმინდა ქართულის ენით სწერდეს და უფლებს ფრაზას რუსიციზმებით არ ავსებდეს.

მე ამით საყვედურს არ ვეუბნები ჩვენს მწერლებს; ისინი იმას გვაძლევენ, რის მოცემაც შეუძლიანთ და საიდან უნდა შეეთვისებინათ მათ ქართული ენა, როცა მას სკოლაში თითქმის ადგილი აღარა აქვს და ოჯახშიაც ათვალწუნებულია. მე არა მგონია, მთელს საქართველოში ერთი ინტელიგენტი ოჯახიც-კი მოიძებნებოდეს, რომლის წევრნიც, არამც თუ მაღალ სწავლა-მიღებულნი, გიმნაზია-პროგიმნაზიებშიაც-კი ნამყოფნი, შეურყეველ ქართულით ლაპარაკობდნენ ერთმანერთ შორის, ხოლო ვინ მოსთვლის, რამდენი ოჯახია იმასთანა, სადაც განსაკუთრებით ბავშვებისაგან სრულიად გამოწირულია ქართული ენა..

ბევრს ქართველს დედას, გულითაც რომ უნდოდეს, ვერ მოუხერხებია მტკიცედ დაიცვას ქართული ენა ოჯახში. ვერ მოუხერხებია თავის შვილებს დედა-ენა შეათვისებინოს, რადგან თვითონაც არ იცის იგი.

ამ ნაირად უმთავრესი საზრუნავი ჩვენთვის დღეს ქართული ენის განმტკიცება უნდა იყოს, ხოლო ამისთვის საჭიროა ქართველმა დედამ შეისისხლხორცოს თავისი დედა-ენა და დაბადებიდანვე შეათვისებინოს იგი თავისს შვილს, მომავალს ქართველს. ამიტომ ვუერთებ ჩემს სუსტს ხმას პატივცემულ აკაკისა და ზოგიერთ სხვა ჩვენ მამულისშვილთა ხმას, რომელნიც იმ აზრისანი არიან, რომ ნაზიძები ფული მოხმარდეს ქართველ დედათა აღზრდის საქმეს! ბევრი ბრძანდება ჩვენში საშუალო სწავლით აღჭურვილი, კიდევ უფრო ბევრია იმისთანა, რომელსაც საზოგადოებისაგან დახმარება მიუღია და საშუალო, თუ მაღალი სწავლა დაუმთავრებია რუსეთში, ან საზღვარ-გარეთ, მაგრამ საქართველოს მათგან არა შესძენია-რა!...

დუტუ მეგრელი.

## ქართული ენა სამეგრელოში

(ვუძღვნი თედო ჟორდანიას)

ბრძნული ანდაზაა: „ზოგისა ბამბა ჩხრიალებს და ზოგისა არც კაკალიო“, დააკვირდით ცხოვრებას და დაინახავთ, რომ ეს ანდაზა ზედ გამოჭრილი და სინამდვილის გამომხატველია. ჩვენში ეხლა ისეა საქმე, რომ სოფისტიკას და უმეცრებას დიდი გასავალი აქვს.

მართლა ბამბის ჩხრიალი არ იქნება, რომ კაცმა თავის საკუთარ ფანტაზიის კოლოფიდან ისეთი უმეცრება გამოატყვრინოს, რომელშიაც ერთი ნამცეცი და ნატამალი სინამდვილისა და ჭეშმარიტებისა არა ერიოს-რა და ასი და ორასი უჯერებდეს და თაყვანის მცემელიც ბევრი ჰყავდეს?! სიმართლეს გვიჩიჩინებენ, ყურადღებას არ ვაქცევთ, ხოლო უმეცრებას წაგვტიტინებენ თუ არა, სიამოვნებით ყურს ვუგდებთ. სად არის დაკვირება, თვითცნობიერება?! არსად. ეგეები რომ გვებადოს, ბრმად არავისი თაყვანის მცემელი არ ვიქნებოდით.

რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ, როდესაც ისეთი უმეცრება და მტკნარი სიცრუე, როგორიც არის მეგრელების არა ქართველობა, გვესმის იმისთანა კაცისაგან, რომელსაც ქართველების ერთ წრეში ყურადღება დაუმსახურებია და თვით მხცოვან ლიტერატორად და რიგიან „მოღვაწედაც“ ითვლება?!

ამ „ინტელიგენტს“, რასაკვირველია, თავის გონების ნაყოფი ამ საგნის შესახებ ჯერჯერობით არ გამოუქვეყნებია საჯაროდ, მაგრამ, დიდს თხზულებას კი ამზადებს. ეს „დიდებული“ „მწერალი“ არ გეგონოთ სამაგრელოდან იყოს, როგორც თვითონ ამბობს; არა წმინდა ქართველია. მას მხოლოდ სამეცნიერო აზრით უმოგზაურია სამეგრელოში და მით, როგორც თვითონ ბრძანებს, „დაწვრილებით და დანამდვილებით“ გაუცვნია სამეგრელოს ცხოვრება. თვითონ მუდმივი ბინადრობა ტფილისის ქალაქში აქვს დადებული.

ერთხელ, საღამოზედ ამ ინტელიგენტს გარს შემოსხდომოდა რამდენიმე ახალგაზრდა. იგი რიხიანის კილოთი თავმომწონედ და გაბედულად ლაპარაკობდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ყველაზე დიდად და მეტად განვითარებულად მოჰქონდა თავი.

სხვათა მრავალთა „სიბრძნეთა“ შორის, სამეგრელოდგან ქართულის ენის განდევნის შესახებაც ჩამოაგდო ლაპარაკი. იგი თავის მსმენელთ არწმუნებდა, მეგრელებმა ქართველობაზე უარი სთქვესო და დღეს მათი საქმე იმ ზომამდეა მისული, რომ მათ ქართველობისა არა-რა დარჩენიათო. სამეგრელოში მოგზაურობის დროს სკოლებშიაც შევიხედე და ვნახე, რომ საყოველთაოდ ხმარებაშია შემოღებული მეგრული სახელმძღვანელო მეგრულის ანბანით დასტამბულიო. ცრუ მეცნიერმა თავის სიტყვების დასასაბუთებლად მაგალითიც მოიტანა და განაცხადა: თუმცა ლაზურიც კი წააგავს ქართულსაო, მაგრამ, აბა, ვის ჩაუთვლია ლაზები ქართველებათაო?! ერთის სიტყვით, მან გადაჭრით განაცხადა, რომ მეგრელებს ქართველებთან არა-რა აქვთ საერთოო და, თუმცა ძველად ქართული კარგად იცოდნენ, მაგრამ დღეს ისევ განიდევნა იქიდგან ქართული ენაო.

დღეს ქართული ენა სამეგრელოში საზოგადოდ, როგორც ყველგან საქართველოში, არა სასურველ მდგომარეობაშია, მაგრამ არც იმაზედ უარესს ყოფაშია, როგორც წინად იყო. მართალია, 1886 წლიდგან სამეგრელოს სამინისტრო სკოლებში სრულიად მოსპობილ იქმნა ქართული ენა, მაგრამ ამით ბევრს ვერას მოახერხებენ აქ ქართულის შეფერხების საქმეში. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ბუნების წინააღმდეგი არა-რა იბოგინებს დედამიწის ზურგზე. როცა მეგრელებს ქართული, ანუ თავიანთი დედა-ენა სკოლებში მოუსპეს, მათ ყურები არ ჩამოუყრიათ და ამ საქმისათვის გულ-ცივად არ შეუხედნიათ. პირ-იქით, ზოგიერთ სოფლებში სკოლებიდგან ბავშვები გამოჰყავდათ, და ქართულის წერა-კითხვის მცოდნეებს აბარებდნენ, რათა წერა-კითხვა ესწავლებინათ. გარდა ამისა მთავრობასაც სთხოვდნენ ქართულის სწავლება კვლავ შემოეღო. სთხოვდნენ ისეთის გავლენიან გვამთა პირით, როგორნიც იყვნენ აწ განსვენებული გაბრიელ ეპისკოპოსი და რამდენიმე კიდევ სხვ. პირველად საქმე უარესად წავიდა: განზრახვა ჰქონდათ 40-იან წელთა პროექტი, ოქროპირის წირვის მეგრულად გადათარგმნა, განეხორციელებინათ. ნიმუშად გადათარგმნილი იყო რამდენიმე საეკკლესიო ლოცვა. გაიგო თუ არა ეს ამბავი სამეგრელოს სამღვდელოებმა, კრებანი მოახდინა დაბა ახალ-სენაკში და ყველამ ერთხმად გადასწყვიტა: ეგეთი საქციელი საღმრთო წერილის შელახვა და შეგინება იქნებაო. სამღვდელოებამ არზა მიართვა საქართველოს ეგზარხოსს, რათ მ·ს ეშუამდგომლნა, ვისთანაც ჯერ-არს, და საღმრთო-წერილი არ შეელახათ ეგეთის საქციელით. რასაკვირველია, საქმე არ მიძინებულა. ეგზარხოსს იმ ხანებში ნიმუშად გადათარგმნილი ლოცვები მიუვიდა; ლოცვები ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორს გადასცეს, რათა მეგრელ მოწაფეების შემწეობით შეემოწმებინა: გასაგებია თუ არა ეგ ნიმუშად გადათარგმნილი ლოცვები მეგრელისათვის. მეგრელ მოწაფეებს ცალკე კრება ჰქონდათ და ერთხმად გადასწყვიტეს, რომ ეგ ნიმუშები მეგრელისათვის გაუგებარია, რადგანაც განზრახ გადამახინჯებულიაო. ერთის მხრივ რექტორის მოხსენებამ და მეორეს მხრივ სამღვდელოებისა და წარჩინებულ კაცთა მეცადინეობამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. საქმე მიწყნარდა, მხოლოდ სკოლებში-კი ქართული ენა გაუქმებული დარჩა... სამრევლო სკოლები ათობით და ოცობით გაიხსნა, სადაც ქართულს ენას დიდი ყურადღება მიაქციეს.

დღეს მთელს სამეგრელოში სამინისტრო სკოლა სამოცზედ მეტი არ იქმნება და თითო სკოლაში 50 მოწაფეც რომ ვიანგარიშოთ, გამოვა 3,000. ხოლო სამრევლო სკოლა თითქმის ყოველ მრევლშია. მთელს სამეგრელოში მრევლი 300-მდის ითვლება და თითოში 30 მოწაფეც რომ ვიანგარიშოთ, გამოვა 9,000. ამას სასულიერო სასწავლებლისა და მეორე კლასიან სამრევლო სკოლების მოწაფეებიც მივუმატოთ და 10,000-ზე მეტი შედგება იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებსაც ქართულ ენას ასწავლიან.

მაგრამ ქართულ ენის გამავრცელებელ ☉ განმავითარებელ პირობად მარტო სკოლებში ქართულ ენის სწავლება როდი ჩაითვლება. თუ რომელსამე ენას თვით ცხოვრებაში გასავალი არსაითა აქვს, იგი აშკარაა მკვდრად უნდა ჩაითვალოს. სკოლებში ლათინურსა და ძველს ბერძნულსაც ასწავლიან, მაგრამ, აბა, ვის უნახავს ამ ენებზე მოლაპარაკენი?! ხოლო, თუ ენის პრაქტიკულ გამოყენებაზე მიდგება საქმე, დაბეჯითებით ვიტყვი, რომ სამეგრელოს ცხოვრების ვითარების მიხედვით, იქ ქართული ენა დიდს ხმარებაშია. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ვაჭრობა და აღებ-მიცემობას ხომ ძალიან მისდევენ მეგრელები და ეს ერთი უპირველესი საშუალებათაგანია ენის გავრცელებისა. საზოგადოდ მეგრელი როდია ქართლელ-კახელივით კარ-ჩაკეტილი. იგი იშვიათად ჩერდება სოფელში. პატრიარქალური მეურნეობა მეგრელს არ აკმაყოფილებს. იგი სტოვებს სოფელს, სამუდამოდ თუ არა, დროებით მაინც, და მიეჩქარება ქალაქისაკენ. ქალაქში, რა თქმა უნდა, მისი ცოდნა ქართულისა ვითარდება და, როცა სოფელში ბრუნდება, წმინდა ქართულის ენით ლაპარაკობს.

ესეც რომ არ იყოს, მეგრელები სხვა მხრივაც იძულებულნი არიან ქართული ენა იხმარონ. არა მგონია, საქართველოს სხვა კუთხეში იმდენი პირობისა, ვექსილისა, ნასყიდობისა და კიდევ სხვა-და-სხვა გვარ ბარათების ქაღალდი იწერებოდეს, რამდენიც სამეგრელოში იწერება. იშვიათი იქნება ისეთი მეგრელი, რომელსაც თვეში რამდენისამე ამ გვარ ბარათის დაწერა არ დასჭირდეს. მეგრული ტირილი და ქორწილის ამბავი ვისაც გაუგონია, ისიც ეცოდინება, რომ მეგრელები ქართულის ენის მცოდნენი არიან.

ერთი სიტყვით, სამეგრელოში ყოველ ფეხის გადადგმაზედ ქართულის წერა-კითხვის მცოდნეა საჭირო და, თუ ეგრეა, რა გასაკვირველია, რომ მეგრელებმა ქართული კარგად იცოდნენ.

თუ არა და მეგრული იგივე ქართული არ არის?! მეგრელი თუნდაც თავის სოფლის იქით არსად წასულიყოს, მაინც ქართულის მცოდნეა, რადგანაც მეგრულსა და ქართულს შუა ნაკლები განსხვავებაა, ვინემ ძველ-საეკკლესიო და ეხლანდელ ლიტერატურულ ქართულ შუა. ქართულ ენის კარგად არ მცოდნე ბევრ მეგრულ სიტყვების ძირში ქართულისას არას ჰპოვებს, მაგრამ ეს არაფერი თავის გასამართლებელი საბუთია. სიტყვა, ჯა, რომელიც ქართულად ჰნიშნავს ხეს, ბევრს ქართული არ ეგონა, მაგრამ როდესაც მცოდნე კაცებმა კარგად გაარჩიეს ეს სიტყვა, ადვილი მისახდომი შეიქნა, რომ ეგ სიტყვაც ქართული ყოფილა, მაგ., ჯამი, ჯრიკო, ჯამფილა, ჯვიჯა და სხვანი. სიტყვა ქობალი, ქართულად პური, ქართული სიტყვიდან წარმოსდგება, მაგ., ხორბალი, რომელიც პურის მარცვალსა ნიშნავს. სიტყვა ყუდე—სახლი, წარმოსდგება ქართულ სიტყვის მყუდროსაგან. ეს არსებითი სახელები და ზმნებზედაც ესევე ითქმის. მაგ. მორთი—მოდი, მიწი—მითხარი, ნდება—ნდობა და სხვანი და სხვანი. ზმნების უღლილებაც ერთმანეთსა ჰგავს, მაგალ. ვირზე, არზე, არზენს, ვარზენთ, არზენთ, არზენა—ვაძლევ, აძლევ და სხვ.

მართალია, არის ისეთი სიტყვებიც, რომლებიც ქართულიდგან არ წარმოსდგება, მაგრამ ისეთი სიტყვები არც ძირითადი მეგრული სიტყვებია მაგ., სიტყვა „თანაფა“ აღდგომა, წარმოსდგება ბერძნულ სიტყვა თანატოდგან (სიკვდილი).

ერთი სიტყვით, მეგრული იგივე ქართულია ☉ წმინდა მეგრულად ლაპარაკი ჰნიშნავს ქართულ ლაპარაკს და მეგრელები ქართულ ენის ცოდნაში სხვა კუთხის ქართველებს არაფრით არ ჩამოუვარდებიან. ახლა ვიკითხოთ: ჟურნალ-გაზეთებს როგორ მისდევენ მეგრელები? წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ძალიან გავრცელებულია სამეგრელოში. დაბებზე არას ვიტყვი და 10—12-ღე სოფელი ვიცი, სადაც სამკითხველო-წიგნ-საცავი უკვე დაარსებულია.

ბოლოს ისიც უნდა დავუმატო, რომ მეგრელებს ქართული ენა ძალიან უყვართ და თავის დედა-ენად ქართული მიაჩნიათ. დიდი უსამართლობა და უმეცრება იქნება მეგრელებს ცილი დავწამოთ და ვსთქვათ, ვ[illegible] ქართველობას უკადრისობდნენ[illegible]

ისიდორე შიოსძე.

# სასამართლო

## მარიამ კასაკოვსკაის მოკვლა ექიმის ვოინოს სადგომში

(დასასრული *)

ბ. ვოინოს ჩვენება გაგრძელდა 70 წამი.

შემდეგ ჰკითხეს მხედარს პეტრიკინს, რომელმაც უჩვენა: „იქნებოდა $2\frac{1}{2}$ საათი შუაღამისა, მივდიოდი ეტლით მიხაილოვის პროსპექტზედ. მომესმა მაღალის სართულიდგან ყვირილი „მიშველეთო“, გადმოვხტი ეტლიდგან და შევვარდი იმ სახლის ეზოში, საიდგანაც ყვირილი მომესმა. შევხვდი მეეზოვეს, რომელმაც მითხრა, რომ იქ, საიდგანაც ყვირილი მოისმის, სცხოვრობს ექიმი ვოინო და რას ნიშნავს იქ ყვირილი, არ იცის. გავეშურე ავსულიყავი და ავედი კიდეც. შევედი ოთახში. დავინახე რომ იატაკზედ გდია პერანგა მოკლული ქალი, მეორე ოთახში ეგდო დაჭრილი ექიმი ვოინო. ვოინომ მიამბო საქმე რაში იყო, მითხრა მზარეულმა დამჭრაო და ჩემი ცოლიც იმან მოკლაო. სახელიც იმ მზარეულისა, რომელიც ვოინოს დაეთხოვა სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, სთქვა—ჰუსეინიაო. იქვე ვიპოვნე საათი ვოინოსი. ამ დროს მოვიდნენ პოლიციის ბოქაული ტერ-გრიქუროვი, ექიმი როზენბაუმი და სხვანი. საქმის გამოძიება დაიწყეს, ბრალმდებელიც მოვიდა. ნამდვილად მახსოვს, რომ ვოინომ ბრალი დასდო ჰუსეინს საქმის გამოძიების დროს.

ამისთანა ჩვენებები მისცეს აგრეთვე პოლიციელებმაც, რომლებიც საქმის გამოძიებას დაესწრნენ.

ექიმმა როზენბაუმმა სთქვა: შემატყობინეს თუ არა, მაშინვე წაველი ვოინოსთან. ქალი მკვდარი დამხვდა. ვოინოს თავი შევუხვიეთ და მაშინვე საავადმყოფოში წავიყვანეთ. იქ ყოველნაირი დახმარება აღმოვუჩინეთ. თავში ჰქონდა სამი ჭრილობა, ქუსლი ჰქონდა წათლილი და მუხლიც დაჭრილი. თავში ჭრილობა საშიში იყო, მაგრამ მალე მოვარჩინეთ.

ბოქაულებმა ტერ-გრიქუროვმა და ფირუმოვმა უჩვენეს, რომ ვოინომ მაშინვე ჰუსეინზედ მიათითაო, რისთვისაც იგი შევიპყარით. ფირუმოვმა სთქვა—შეპყრობის დროს ჰუსეინს ფაფახი და ჩოხის კალთები სველი ჰქონდა, რადგანაც გაერეცხაო. გამოკვლევის დროს დამტკიცდა, რომ თურმე სისხლის წვეთები ამოერეცხაო. სხვათა შორის, უპოვეს ფეხსაცმელში ჰუსეინს ოთხი ოცი-და ხუთ-ხუთ მანეთიანი ქაღალდები, რომლებიც ჰუსეინს მოეტაცნა ვოინოსაგან ქისითა. ეს ფული ვოინოს მიეღო მაკაროვისგან წინა დღით.

ჰუსეინი შეიპყრო პოლიციის მოხელემ ბაჟანოვმა. შეპყრობილი არასფერში არ გამოტყდა. ტერ-გრიქუროვმა სთქვა—ჰუსეინი მივიყვანე მოკლულ ქალთან და ვუთხარი: „მკვდარს შეხედე-მეთქი“, მაგრამ ჰუსეინი უცბად იქით მიბრუნდა და მკვდარს ზურგი შეაქცია და ვერას გზით ვეღარ მივახედე მკვდრისაკენ. სპარსეთში ხალხში რწმუნებაა, რომ მკვლელი თავის მოკლულს ვერ შეჰხედავსო.

მოწმემ სავიცკიმ დაასურათა ოჯახური ცხოვრება ვოინოსი და ღირსეულ ქალად დახატა მოკლული კასაკოვსკისა.

ქ. ეგოროვისამ სთქვა: „მე ვოინოს სახლის ქვეშ ვდგევარ. ბრახა-ბრუხისაგან გამომეღვიძა. ჯერ ოთახებში სირბილის ხმა მომესმოდა, მერე უცებ ვიღაც დავარდა იატაკზედ. ჩამოვარდა სიჩუმე. სიჩუმე გაგრძელდა ხუთ წამზედ მეტს. მერე ასტყდა კაცის ხმა: „მიშველეთო“. დაიწყო საქმის გამოძიება.

მეეზოვემ სთქვა, რომ იმათ სახლში ხმაურობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. საქმის გარემოება-კი ვერ გამოარკვია.

ჰკითხეს რამდენსამე პირს, რომელთანაც ჰუსეინს ემსახურა. კითხვიდგან გამოირკვა, რომ ჰუსეინი ყოფილა ამაყი კაცი, მხოლოდ თავისი საქმე მზარეულობა კარგადა სცოდნია. სანდო მოსამსახურე ყოფილა, მხოლოდ საქმეს თურმე ყოყმანით აკეთებდა. ჯამაგირი ულია თვეში 13—14 მანეთი. ერთმა უჩვენა, რომ ჰუსეინს ბოლოს დროს ლოთობა დაუწყვია. მხოლოდ ეს ლოთობა დროებითი უნდა ყოფილიყოო. ფული უნდა ჰქონდეს ჰუსეინსაო, რადგანაც შოვნის შნო აქვსო.

ჩვენებაში მოწმემ ხერუმოვმა (ვოინოს გვერდითა სდგას) სთქვა: „მომესმა უცბად ხმაურობა და შემდეგ ეს სიტყვები: „Давай тазъ“ (მოიტა ტაშტი) და შემდეგ გამოჩნდა, რომ ჰუსეინს ქალი მოეკლა და ვოინო დაეჭრა. სხვა მოწმების ჩვენებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საქმისათვის. ამიტომაც არ ვბეჭდავთ. საქმის გარჩევა გადაიდო საღა-

*) იხ. „ივერია“ № 110.

---

ჰოლლანდიელების მამულები მალე აყვავდა მშვენიერის ვენახებით და ბაღებით. მათ გარშემო მდებარე მინდვრები გაივსო მრავალგვარ საქონლით და რამდენისამე წლის განმავლობაში მთელი ახალშენი მოიფინა მშვენივრად მოწყობილ ფერმებით.

ვან-რიბეკმა არ დაივიწყა ახალშენის პოლიტიკური მოწყობაცა. ამ განზრახვით მან 1652 წ. დააარსა სიმაგრე „კაპშტადტი“ და გაიჩინა სიმაგრის დამცველი ჯარი-გარნიზონი. ამგვარად დაარსდა სამხრეთ აფრიკის ვიწრო ბოლოზე ანუ „კაპზე“, როგორც უძახიან ჰოლლანდიელები ხმელეთის ვიწრო ბოლოებს, ჰოლანდიელების ახალშენი „კაპლანდია“.

კაპლანდია, საზოგადოდ, ჭაობიანი და ამის გამო დამცდელი იყო. ამ გარემოებამ გამოიწვია საშინელი ავადმყოფობა გადმოსახლებულთა შორის. ვან-რიბეკი შეუდგა ჭაობიან ადგილების გაშრობას. ჰოლანდიელებმა გათხარეს არხები წყლის ერთ ალაგას მოსაგროვებლად, დასთესეს და დარგეს სხვა-და-სხვა გვარი მიწის გამშრობელი მცენარეობა და ამგვარად რამდენსამე ხანში ეს ჭაობიანი ადგილები ისე შეიცვალა, რომ ძნელი საცნობი-ღა იყო. ეს ციების და ავადმყოფობის ბუდე გარდაიქცა საუკეთესო და საღ ადგილებად და თავისის კარგისა და ჯანმრთელის ბუნებით ბევრს იზიდავდა საცხოვრებლად. რიცხვი გადმოსახლებულ ოჯახთა საგრძნობლად მატულობდა: თითქმის დღე არ გავიდოდა, რომ რამდენიმე ოჯახი ჰოლანდიელისა არ გადმოსახლებულიყო. პატარა ახალშენი რამდენისამე ხნის შემდეგ კარგად საკმაოდ დიდ ახალშენად გარდაიქცა და სიმაგრე კაპშტადტი კაი დიდ ევროპიულ ქალაქს დაემსგავსა.

ჰოლანდიელებმა დიდი გავლენა იქონიეს ველურ შავ-კანიან ხალხზე. გოტენტოტები, რომელნიც სხვა ველურ ხალხ შორის ყველაზე უფრო დაუახლოვდნენ ჰოლანდიელებს, უსაგნო ტანტალის და ტეე-ტეე გარეულად ნადირობის მაგივრად დაადგნენ მენახირობასა და მწყემსობას. ჰოლანდიელებისაგან გაჩენილი დიდძალი შინაური საქონელი ამ გოტენტოტებს ჰყავდათ ჩაბარებული და გოტენტოტები ისე შეეჩვივნენ მწყემსობას, რომ თითქმის მუქთად კისრულობდნენ ამ საქმეს. როგორც მწყემსები, გოტენტოტები ჰოლანდიელების ფერმებს დაუშინაურდნენ და ჰოლანდიელების ოჯახს ისე შეეჩვივნენ, რომ აღარ შორდებოდნენ. ბევრი გოტენტოტი ყმაწვილი გამოიზარდა ამ ფერმებში და იმგვარად შეითვისა კულტურული ცხოვრება, რომ თეთრ-კანიანებისაგან თითქმის არაფრით განირჩეოდა. მაგრამ, თუ ჰოლანდიელებს ასეთი დიდი გავლენა ჰქონდათ გოტენტოტებზე, არც თვითონ ისინი დარჩნენ შეუცვლელნი. ჰოლანდიელებმა ცოტ-ცოტად შეიცვალა სახის მოყვანილობა და ყოფა-ქცევა. დაშორებულნი დიდ ქალაქის ცხოვრებას, ჰოლანდიელები წარმოადგენდნენ მშვიდ და წყნარ მეურნეებს. მათთვის საჭირო არ იყო ყველა ის საზიზღარი მოქმედება, რომლითაც თითქმის ყველგან ხასიათდება დიდ ქალაქებში მცხოვრები ხალხი. ყველა მათგანი ცხოვრობდა განცალკევებული თავის ფერმაში, იყო პატიოსანი, ღვთის მოყვარე, უშმაკო ფერმერი და მთელის თავისის ღონითა და ძალით უვლიდა მიწას და საქონელს ამ ერთად-ერთ, მაგრამ შეუდარებელს, წყაროს სიმდიდრისას.

დიდი მხნეობა გამოიჩინა ჰოლანდიელმა მიწისა და თავის ფერმის შემუშავებაში. დღე და ღამე უვლიდა თავის ბაღებს და ვენახებს და სამხრეთ-აფრიკის ბუნებამაც თანაუგრძნო ამ თავგანწირულს შრომას და უხვად დააჯილდოვა ჰოლანდიელი იშვიათის მოსავლით.

ჰოლლანდიელების რიცხვი კაპლანდიაში იმდენად გამრავლდა, რომ მალე დაიპყრეს ახლო მახლო მდებარე ადგილები და გააშენეს სოფლები. მათ ბედს, როგორც იტყვიან, ძაღლიც არ დაჰყეფდა, კაცს რომ არ შეჰშურებოდა გადასახლებულთა ბედნიერება. სიმაგრე კაპშტადტის მდებარეობამ, მისმა დიდმა მნიშვნელობამ აფრიკის ახლო ოკეანეში მოგზაურ ხომალდებისათვის გაუღვიძა ზოგიერთ სახელმწიფოს მადა ამ ქალაქის ხელში ჩაგდებისა. ყველაზედ უფრო დიდი მოურიდებლობა ამ სახელმწიფოთა შორის გამოიჩინა ხარბმა ინგლისმა, რომელიც თითქმის ორ საუკუნის განმავლობაში განუწყვეტლივ სისხლს აღვრევინებს თავისს ქვეშევრდომებს, ოღონდ-კი თავისი ავაზაკური აზრი შეისრულოს და სამხრეთ-აფრიკა ხელთ იგდოს.

გ. ი. გძელიშვილი.

(შემდეგი იქნება)

მოს შვიდი საათისათვის, რა დროისთვისაც სასამართლოს დარბაზი ისევ ხალხით გაიჭედა, ნამეტნავათ მანდილოსნებით. საქმის გარჩევის დროს და მოწმეთა კითხვის დროს ჰუსეინი თავ-ჩაღუნული ზის და ხმას არ იღებს. ხალხი ვერც-კი ამჩნევს, თუ დამნაშავე იქა ზის. საღამოზედ შვიდი საათიდგან ჰკითხეს დანარჩენ მოწმებს და ექსპერტს—ექიმს ვიხრევს, რომელმაც დაასურათა ჭრილობა მოკლულ ქალისა და დაჭრილ ვოინოსი. სხვათა შორის, გამოარკვია, რომ ჰუსეინი არის ოც-დაორი წლისა შეხედულობით და არა ოცისა, როგორც თითონ დამნაშავემ გამოაცხადა. ექიმმა წლოვანობის გამოკვლევაში მხედველობაში მიიღო ის, რომ ჰუსეინს რამდენიმე სიბრძნის კბილი ამოჰსვლია. ექიმმა სთქვა, რომ ამისთანა მკვლელობას ერთი კაცი ვერ ჩაიდენსო, უნდა ყოფილიყვნენ არა ორზედ ნაკლებიო.

ამის შემდეგ წაიკითხეს ზოგ-ზოგი მოწმეების ჩვენება, რომლებიც საქმის გარჩევაზედ ვერ გამოცხადნენ. შემდეგ სიტყვა მისცეს ბრალმდებელს გლაგოლევს, რომელმაც ითხოვა დამნაშავის სამუდამოდ კატორღაში გაგზავნა. სამოქალაქო მომჩივარის ვექილმა ნაფიცმა ვექილმა კრასოვსკიმ იგივე სთხოვა სასამართლოს, მხოლოდ თითონ ფულის საჩივარზედ-კი უარი განაცხადა.

ჰუსეინის დამცველმა ნაფიცმა ვექილმა ზავრიევმა რამდენიმე საბუთი მოიყვანა დამნაშავის გასამართლებლად დ გამართლება სთხოვა.

შემდეგ სასამართლო 10 საათზედ გავიდა განაჩენის დასადგენად. $11\frac{1}{2}$ საათზედ სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც ჰუსეინ რაგიმ-ოღლი 22 წლისა დამნაშავეთ იცნო იმაში, რომ მან წინასწარის შეთანხმებით სხვა პირთან, რომელიც საქმემ ვერ გამოარკვია, გაძარცვის აზრით, წინადვე მოფიქრებულის განზრახვით მოჰკლა ქალი კასაკოვსკისა და დასჭრა ექიმი ვოინო, თუმცა-კი უკანასკნელის მოკვლის განზრახვაც ჰქონდა, მაგრამ აღსრულებაში ეს თავისი სურვილი ვერ მოიყვანა, რისთვისაც სასამართლომ მიუსაჯა დამნაშავეს ყოველ ღირსების აყრა და კატორღაში გაგზავნა პირველ დანაშაულობისათვის ოცის წლით, ხოლო მეორე დანაშაულისათვის ათის წლითა. სასამართლომ ეს ორთავე განაჩენი შეაერთა და ოცის წლით კატორღაში გაგზავნა მიუსაჯა.

## წერილი რედაქციის მიმართ

### I

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ სიმართლის აღსადგენად ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენის პატივ-ცემულ გაზეთის უმახლობელესს ნომერში, ბ-ნ ი. გოგიჩაიშვილის საპასუხოდ, რომელმაც „ივერიის“ 91 №-ში დაბეჭდა წერილი ლანჩხუთიდგან, რომლის მიზანიც იყო არა სიმართლის გამოაშკარავება, არამედ ჩემი, როგორც ლანჩხუთის საქალებო სკოლის და მასთან დაარსებულის ჭრა-კერვის განყოფილების გამგის სახელის შელახვა.

ბ-ნი გოგიჩაიშვილი ამბობს, ვითომც მე ჭრა-კერვის სკოლაში მიმეღოს 96 მოსწავლე ქალი, უწეს-რიგოდ მომეწყოს ის და ამის მიზეზით სკოლას ფეხი საძაგლად წაეკრას. საქმე-კი ნამდვილად აი, როგორ არის: ჭრა-კერვის სკოლაში სწავლობდა შობამდის 67 ქალი, და არა 96 და ეხლა სწავლობს 30 და არა 15. თავი და თავი მიზეზი მოსწავლეების შემცირებისა არის სწავლის ფულის შემოუტანლობა და აგრეთვე ისიც, რომ ეხლა აბრეშუმის მოყვანის დროა და მოზრდილს ქალებს სოფელში არა აქვს დრო და არა ის, რომ სკოლაში სწავლის საქმე ცუდად იყოს დაყენებული. რომ სკოლაში სწავლის საქმე კარგად არის დაყენებული, ამას მოწმობენ ოზურგეთის მაზრის და გურია-სამეგრელოს ეპარქიის სკოლების მეთვალყურეები და აგრეთვე ოლქის სკოლების მეთვალყურე მამა ვასტორგოვი, რომელმაც ამ ბოლო დროს ინახულა სკოლა. ესეც რომ არ იყოს, თითონ ბ-ნს გოგიჩაიშვილს შეეძლო შესულიყო სკოლაში და დარწმუნდებოდა, რომ ხელ-საქმის სწავლება კარგად არის დაყენებული, და არ არის ისე ასათვალწუნებელი ეს სკოლა, როგორც იმას ჰგონია.

ნორმაზედ მეტი მივიღეთ იმიტომ, რომ დავუთმეთ მსურველების თხოვნას და ყველა იმათ რომ შესძლებოდათ სრულიად სწავლის ფულის შემოტანა, მაშინ მოვიწვევდი მეორე მასწავლებელს და კიდევაც მქონდა ამაზედ მოლაპარაკება ორს აქაურ ჭრა-კერვის კარგად მცოდნე მანდილოსანთან. მიუხედავად იმისა, რომ ჭრა-კერვის სკოლის შენახვა, ე. ი. მასწავლებლის ჯამაგირი, სახლის ქირა და საჭირო მოწყობილობა ჯდება წელს ოთხას მანეთზედ მეტი და შემოსავალი-კი იყო მხოლოდ 250 მან. და ამ ნაირად, დანარჩენი ჩემ პასუხის-საგებელ ვალად რჩება, მე სკოლის დახურვა აზრად არ მომსვლია, პირ-იქით შემდეგისათვის ვფიქრობ უკეთ მოვაწყო საქმე.

რაც შეეხება იმას, ვითომც საქალებო სკოლას მესამე მასწავლებლის მოწვევისათვის საშუალება ჰქონდეს და მე განგებ არ ვამწესებდე მასწავლებელს და ჩემს დანაშაულობას მასწავლებლების გადამეტებულ შრომით ვასწორებდე,—ეს ცარიელი ცილის-წამებაა. საქალებო სკოლა იღებს წელიწადში 200 მ. ლანჩხუთის სოფლის საზოგადოებისაგან, 200 მ. ადგილობრივ სამოსწავლო საბჭოს განყოფილებისაგან და 180 მ. სხვა წოდების მოსწავლეების სწავლის ფასად. სულ 580 მ. ამ ფულებიდგან 500 მ. იღებს ორი მასწავლებელი ჯამაგირად, 100 მ. ვქირაობ ორს შენობას სკოლისათვის. ეხლა სტოლების და სხვა საჭირო ნივთებისათვის ხომ არის საჭირო ფული? ამ ნაირად, ეს საშუალება ორის მასწავლებლის შესანახად არ ყოფნის და სად არის მესამე მასწავლებლის ჯამაგირის საშუალება?

ეს ყველაფერი შეეძლო ბ-ნს გოგიჩაიშვილს დანამდვილებით შეეტყო, სიმართლის გამოაშკარავება რომ სდომებოდა, მაგრამ ბ-ნს გოგიჩაიშვილთან სიმართლე დიდი ხანია მწყრალად არის და ეს მისი სიცრუის პირველი და მეორე მაგალითი არ არის. მოიგონეთ მისი წერილი ბ-ნ ი. საბაშვილზედ და 1901 წ. „კვალის“ 43 №. დასასრულ, რადგან სასურველია, რომ სიმართლე გამოირკვას და სიცრუე აილაგმოს, უმორჩილესად ვსთხოვ ლანჩხუთის ინტელიგენციას და იმ პირთ, რომელნიც ახლოს უდგანან საქალებო სკოლის საქმეს თავის მიუდგომელი მსჯავრი დასდონ გაზეთის საშუალებით ჩემს მოქმედებას და ბ-ნ გოგიჩაიშვილის წერილის სიმართლეს.

ლანჩხუთის საქალებო სკოლის გამგე მღვდელი ეპიფანე ჩხაიძე.

### II

ბატონო რედაქტორო!

თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ 108 №-ში ამ მაისის 25-ს მოთავსებულია წერილი ქიათურიდგან, რომელსაც ბოლოში ფსევდონიმად აწერია „სიმართლე“.

ზოგიერთი ის ბატონები, რომელთაც ის წერილი ეხება, წერილის ავტორად მე მასახელებენ. თვით რწმუნებულს თქვენდამი რედაქციას კარგად მოეხსენება, კარგა ხანია ჩემს წერილებს ბეჭდავს პატივცემული „ივერია“, მაგრამ ჩემს წერილებს მე ყოველთვის ნამდვილს სახელსა და გვარს ვაწერ ხოლმე და არა ფსევდონიმს. ჩემდა სამწუხაროდ, ეს ბევრს აქაურს არა სჯერა.

ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენისავე პატივცემულ გაზეთის საშუალებით დაამოწმოთ, რომ ზემოხსენებულის წერილის ავტორი მე არ გახლავართ და მით ამაშოროთ უსაბუთო საყვედური და ცილის წამება.

ბესარიონ ვაშაძე.

ამით ვამოწმებთ, რომ ზემოხსენებული წერილი ბ-ნს ბესარიონ ვაშაძეს არ ეკუთვნის.

რედ.

## მადლობის გამოცხადება

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულ გაზეთით მადლობა გამოუცხადოთ, რომელთაც კეთილინებეს 20 მაისიდგან ქუთაისში სეირნობის დროს და დაასაჩუქრეს ჩვენი სკოლის მოწაფეები გალობისა და სიმღერისათვის: ყ-დ უსამღ. იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა 10 მან., ვახტანგ გურიელმა 2 მ., გენათის მონასტერის არხიმანდრიტმა სერაპიონმა 1 მ. და საუზმე გაუმართა, იღუმენმა სოფრომმა 1 მ. და სადილი გაუმართა, გენათის სკოლის მასწავლებელმა პ. პ. ჭირაქაძემ 1 მ., გურიაში ნათლის-მცემლის მონასტ. მღ. მონაზ. ფილიმონმა 1 მ., სოფ. ამაღლების აბანოს პატრონმა 50 კაპ., კნიაჟნა მარიამ ერისთავის ასულმა 1 მ., გამიჯვნის აგენტმა 1 მან. ჩოხატაურში, ბ-ნ ბიქტორ მგელაძემ 1 მან., იქვე კიდევ 50 კაპ. ლონგინოზ ჟღენტმა: სადილი და ვახშამი გაუმართა. ოზურგეთში გიორგი მგელაძემ 1 მან., სილოვან ორაგველიძემ 50 კაპ., რომელმაც სამგზავრო ხარჯში შეღავათი მოგვცა, სულ 21 მ. 50. მიხეილ აღაიანცმა სკოლაში სახმარებელი ნივთები 2 მ. 20 კ. განსაკუთრებით დიდის მადლობის ღირსია სუფსის სადგურის ფერშალი პ. ჩერკაშინი, რომელიც ყოველ საჭიროებაზედ დადიოდა 5 ვერსის მანძილზედ წყალ-წმიდაში და უფასოდ ეშველებოდა ჩვენს სკოლაში უფასოდ თავშეფარებულ ობლებს და ღარიბებს.

წყალ-წმიდის ძმობის სკოლის მმართველი ს. ქორიძე და ი. ლეჟავა.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

28 მაისი

**პეტერბურგი.** დღეს, 28 მაისს, ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი მოვიდა პეტერგოფს. მის დასახვედრად ვოგზალზედ იყვნენ მინისტრები კარისა, გარეშე საქმეთა და გზათა, ოსმალოს ელჩი და საელჩოს მოხელენი. მატარებლის მოსვლამდის მობრძანდნენ დიდნი მთავარნი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, ანდრია ვლადიმირის ძე, მიხეილ ნიკოლოზის ძე და სერგეი ალექსანდრეს ძე. ბოლგარიის მთავარი და დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე ეტლით წაბრძანდნენ მის უმაღლესობის საკუთარ აგარაკს ალექსანდრიაში, სადაც უმაღლესი სტუმარი მიღებულ იქმნა მათ იმპერატორებით უდიდებულესობათაგან.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატის კრებაზედ ხაზინის კანცლერმა გამოაცხადა, რომ პურზედ ბაჟი შემოღებულია მხოლოდ შემოსავლის მოსამატებლად და არა იმისთვის, რომ უპირატესობა მიეცეს ინგლისის კოლონიებს უცხო ტომთა ვაჭრებზედ. მთავრობა ეცდება მოაწყოს ვაჭრობა კოლონიებთან უფრო თავისუფლად და ამასთან არავითარი ზარალი არ მისცეს სხვა სახელმწიფოებს. ის წინადადება, რომ პურის ბაჟი შემოღებული იყოს მხოლოდ ერთის წლით, უარ-ყოფილ იქმნა 236 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 173 ხმისა.

**კონსტანტინეპოლი.** ფირმილიანი აკურთხეს უსკუბის ეპისკოპოსად გუშინ სოლონიკში. კურთხევას დაესწრო რუსეთის კონსული მაშკოვი.

**ლონდონი.** კანადიდან იუწყებიან, რომ მუსულმანთა შორის დიდი მღელვარება სუფევს თოხას მაჰმადიან-შეიხერის (მენაკეთა) მკვლელობის გამო, ჩაიდინეს ქრისტიანებისაგან.

**ლონდონი.** კიტჩენგტს, ფერინიგინგის ახლო, 25 მაისს, ერთი აფიცერი მოუკლავთ და მეორე დაუჭრიათ. იმავე დღეს დაუჭრიათ ატოლთან ერთი ჯარის-კაცი.

**ვაშინგტონი.** წარმომადგენელთა პალატამ მიიღო 175 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 38 კანონ-პროექტი ანარხისტების წინააღმდეგ. წინადადება, რომ გამოტოვებული იყოს ის მუხლი, რომელიც ნებას აძლევს სიკვდილით დასჯისას ელჩების მკვლელობისათვის, უარ ყოფილ იქმნა.

**მოსკოვი.** ამ დღეებში ქალაქის თვით-მმართველობას კურრემ და ბალინსკიმ წარუდგინეს პროექტი მოსკოვში ქუჩებს ქვეშ და ზევით გზების გაყვანისა ელექტრონით და ორთქლით მოსიარული ტრამვაის შემწეობით. პროექტის ასრულება ეღირება რამდენიმე მილიონი.

**ბაქო.** თეთრს-ქალაქში მომხდარ უბედურების საქმის გარჩევის შემდეგ სასამართლომ გაამართლა ორთავე ბრალდებული არნოლდ-ფეიგლი და გუხმანი.

**როსტოვი.** შესწორება: გუშინდელ ლონდონის დეპეშაში შალკ-ბურგერისა და ბოტას ეპისტოლეში გამოტოვებულია სიტყვები . . . . ბრძოლასა, დავიწყოთ მუშაობა ხალხის სულიერისა და საზოგადოებრივის კეთილდღეობისათვის, დავუტევოთ ყოველი მწარე გრძნობა....

29 მაისი

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატაში მინისტრ-პრეზიდენტმა კომბმა წაიკითხა დეკლარაცია ახალის სამინისტროსი. უპირველეს ყოვლისა დეკლარაციაში დადასტურებულია, რომ საყოველთაო კენჭის-ყრამ მოიწონა წინანდელი მთავრობა. დეკლარაცია ამბობს, რომ საჭიროა დაცულ იქმნას ერთობა უმრავლესობის მიერ, რომელიც ნაყოფია უკანასკნელ არჩევნებისა და განხორციელება იმ რეფორმებისა, რომელიც ახლა უფრო მეტად უჭირს ქვეყანას, ვიდრე როდისმე წინად.—„ჩვენაო,—ნათქვამია დეკლარაციაში,—მთელის ჩვენის ძალ-ღონით შევებრძოლებით იმათ, ვინც ეცდებოდა ჩვენის მართვა-გამგეობის სარესპუბლიკო ფორმის დაწუნებას და დაუწყებდა მას გინებას; აგრეთვე იმათ, ვინც ეცდებოდა, რომ ჯარსა და მხედრობას თვისის მოვალეობისათვის ეღალატნა. ჩვენ მოვახერხებთ, რომ ჯარი და მხედრობა პოლიტიკის გარეშე იდგეს და არ მოვითმენთ, რომ სამღვდელოების ერთი ნაწილის ეკკლესია და სასულიერო კონგრეგაციები ერთსა და იმავე დაწესებულებად მიაჩნდეს. ვიზრუნებთ, რომ კანონები მოქმედობდეს, ვეცდებით კანონების დაცვას სარესპუბლიკო ღონისძიებით, რომელიც ხელთა აქვს მთავრობას. კანონი შეამბოხეთა მეერთების შესახებ ახლა იმ ხანაშია, როცა იგი უნდა აღსრულებულ იქმნას მთავრობის მიერ. მთავრობა იზრუნებს, რომ არც ერთი დადგენილება ამ კანონისა არ დარჩეს აუსრულებელი. თქვენს წინაშე იქნება წარმოდგენილი პროექტი 1850 წლის კანონის გაუქმებისა საერო განათლების შესახებ, რათა სახელმწიფომ კვლავ დაიჭიროს ის მდგომარეობა, რომელზედაც არას დროს უარი არ უნდა სთქვას და იზრუნოს განათლებისათვის, რომელიც თითოეულს მოქალაქეს უნდა მიეცეს“.

**პარიჟი.** ნაწილი სამინისტროს დეკლარაციისა, გარეშე პოლიტიკის შესახები: „ჩვენი გარეშე პოლიტიკა, რომელსაც სახეში ექნება უმაღლესი და მუდმივი ინტერესები ქვეყნისა, ძომხრეობას გაუწევს იმ კავშირს, რომლის კეთეს საფრანგეთიცა და რუსეთიც ერთნაირად აფასებენ და რომელსაც ყველა ისე უყურებს, როგორც არსებითს გარანტიას და მშვიდობის თანასწორობას. იგი პოლიტიკა იზრუნებს სამეგობრო ურთიერთობისა და კავშირთათვის, რასაც აადვილებს ერთნაირობა ჩამომავლობისა, მეზობლობა და მსგავსება დაწესებულებათა. პატივის ცემით მოეპყრობა სხვათა უფლებას და ყოვლის ღონისძიებით ეცდება ხელ-შეუხლებლივ დაიცვას ზნეობრივი და ქონებრივი მემკვიდრეობა საფრანგეთისა“. დეკლარაციას დიდის ტაშის კვრით მიეგებნენ. ხვალისთვის გადაიდო, თუ ვისმე უნდოდა დაჰკითხებოდა რასმე სამინისტროს.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ შეიწყნარა 279 ხმით 193 წინააღმდეგ პირველი ნაწილი საფინანსო კანონ-პროექტისა, რომელშიაც ლაპარაკია პურზედ ბაჟის დადების შესახებ.

**პრეტორია.** დღემდე დაჰყარა იარაღი 7000 ბურმა.

**გააგა.** მეორე პალატამ ერთხმად დაამტკიცა კონვენცია, დადებული გერმანიასთან აზიის ახალ მენების შეერთების შესახებ ტელეგრაფით, რომელსაც გაიყვანს გერმანია-ჰოლანდიის ახლშენი.

**პეტერბურგი.** საერო განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ 4 სექტემბერს ჰამბურგში იქნება მე-13 საერთაშორისო კონგრესი ორიენტალისტებისაო.

**პეტერბურგის ბირჟა**, 28 მაისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,15 |
| ბერლინში 100 მარკაში | $46,02\frac{1}{2}$ |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,85 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,60 |
| ბირჟის დისკონტი | $4\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}\%$ |
| 4% სახელმწიფო რენტა | $96\frac{3}{4}$ მყიდ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | $98\frac{3}{4}$ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სათავ. მამულთ ბანკისა | — |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 475 გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | $362\frac{3}{4}$ გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სათავ.-მამ. ბანკისა | 292 გაყ. |
| $4\frac{1}{2}\%$ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | $88\frac{3}{8}$ გაყ. |
| $4\frac{1}{2}\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. სათავ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | $89\frac{3}{4}$ გაყ. |
| $4\frac{1}{2}\%$ გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. სათავ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები „ | 523 გაყ. |
| „ კასპიის ამხანაგობისა. | 4530 „ |
| „ ბაქოს ნავთის საზოგად. | 440 წვ გაყ. |
| „ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | $182\frac{1}{2}$ წვ. გაყ. |

## ყოველ-დღური საჭირო ცნობანი:

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

| | მოდის ტფილ. | გადის ტფილ. |
|---|---|---|
| **ბაქო.** | | |
| სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) | 3 ს. 43 წ. დღ. | 11 ს. 49 წ. დილ. |
| ფოსტის „ (ყოვ.-დღე) | 4 ს. 54 წ. დღ. | 1 ს. 34 წ. დღ. |
| სამგზავ. „ „ | 8 ს. 37 წ. დილ. | 8 ს. 22 წ. საღ. |
| **ბათუმი.** | | |
| სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) | 10 ს. 2 წ. დილ. | 7 ს. 43 წ. დილ. |
| ფოსტის „ „ | 12 ს. 32 წ. დღ. | 6 ს. 7 წ. საღ. |
| სამგზავ. „ „ | 7 ს. 37 წ. საღ. | 9 ს. 27 წ. დილ. |
| **ყარსი და ალექსან.** | | |
| ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) | 7 ს. 18 წ. დილ. | 9 ს. 28 წ. საღ. |
| ამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან) | 4 ს. 35 წ. დღ. | 3 ს. 13 წ. დღ. |
| **ბორჯომი.** | | |
| სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე) | 6 ს. 57 წ. დილ. | 6 ს. 22 წ. დილ. |
| სამგზავრო „ „ | 9 ს. 53 წ. საღ. | 2 ს. 28 წ. დღ. |


## განცხადება

„GRAND PRIX“ PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

**А. Ралле и К-о**

„Парфюмерія Нильская Лилія“

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში ამხ. „ცოდნის“ მიერ გამოცემული შემდეგი წიგნები:

№ 1 „ქრისტინე“ მოთხრობა ე. ნინოშვილისა . . „ 20 კ.

« 2 „ბუნების სატარი მოვლენანი რუბაკინისა . . „ 15 კ.

და ახლად გამოცემული წიგნი

« 3 ამბები ინგლისის ისტორიიდან მე-XI საუკუნიდან მე-XIX საუკუნის დამლევამდე ა. ბიკოვისა, თარგმანი კ. ს. ჩხეიძისა, ფასი 1 მ. უმთავრესი საწყობია ქ. ბათუმში სპ. ჰელიძის წიგნის მაღაზიაში რომლის ადრესიც შემდეგი: Въ Гор. Батумъ, Спир. Челидзе. ვინც ათით წიგნისას ათიდან (?) დაიბარებს ერთად, დაეთმობა 25%.

(6—349—6)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

## ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლელისა, ფასი 10 კ.

და

## მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

**წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის. მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:**

| | |
|---|---|
| საუმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილის | „ 30 |
| საქრთ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ. | 1 40 |
| Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ | „ 60 |
| სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა | 1 მ. „ |
| მოთხრობანი დ. კლდიაშვილის. | „ 30 |
| ყოველის მხრიდგან. არბოლელის. | „ 10 |
| ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა | „ 50 |
| ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი | „ 15 |
| ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძის | „ 15 |
| ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი | „ 5 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირის | „ 30 |
| აბო ტფილელი, ე. კ. | „ 30 |
| Або Тифлисскій, Е. К. | „ 5 |
| Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ | „ 60 |
| გიორგი და მიხეილი | „ 10 |
| რ. აბაშიძის | „ 60 |
| დ. გაბრუაშვილის | „ 25 |
| მელის წიგნი, კ. თაყაიშვილის | „ 40 |
| მუშათა კითხვა | 15 „ |
| მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყორღანაშვილის | 1 „ |
| მოძღვრებანი, ი. გამრეკელის. | „ 40 |
| Древній Анчисхатскій соборъ. Карбеловъ | „ 20 |
| ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანის | „ 40 |
| შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძის | „ 30 |
| ხანგი, ვ. აბაშიძის | 1 „ |
| ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძის. | |
| Царица Тамара, М. Джанашвили | „ 50 |
| ცისარტყელა, ავ. ცაგარელის | „ 30 |
| ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილის | 1 „ |
| Характеристики и воспоминанія Г. Туманова | „ 50 |
| დედა, ანდერსენის | „ 8 |
| დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი | 1 „ მ. |
| დაუჯდომელი წმ. ნინოსი | „ 20 |
| Двѣ святыни въ Кахетіи, Е. К. | „ 10 |
| Давидъ Гареджели, Е. К. | „ 15 |
| ეტიუდები, თ. ხუსკივაძის | „ 15 |
| ედენე, მოთხრობა | „ 5 |
| Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили | „ 40 |
| Назрѣвшій Европ съ, К. | „ 20 |
| ოცი წლის წინედ, გ. წერეთლის | „ 5 |
| Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ | „ 3 |
| ამბავი მაღლის ქვისა | „ 5 |
| აკიდო საუმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ. | „ 15 |
| ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი | 1 მ. „ 50 |
| ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი | „ 40 |
| ბუნია | „ 10 |
| ბუნების სატარი მოვლენანი, ს. ჯუღელის | „ 15 |
| ბაში-აჩუკი, აკაკის. | „ 30 |
| ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილის | 1 მ. „ 30 |
| გლეხი-კაცის ისტორია, III—IV ტ. | 1 მ. „ 20 |
| გამზრდელი, აკაკის | „ 5 |
| გასართობი | „ 10 |
| გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—ს | „ 15 |
| გუსტავ ვაზა | „ 5 |
| პატარა ლორდის თავგადასავალი | „ 30 |
| პატარა ვეფხვის ტყაოსანი. | „ 25 |
| რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილის | „ 40 |
| სიტყვიერების თეორია, ალ. კირიონის და გრ. ყიფშიძის | 1 „ |
| სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანის. | „ 60 |
| აერო დღესასწაული | „ 25 |
| Въ Барсовой кожѣ, Мкинвари | 1 р. „ |
| ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ძის. | „ 3 |
| Заслуги Грузинскаго монашества, Е. К | „ 30 |
| თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი | 1 მ. |
| თეორია სიტყვიერების, კელენჯერიძის | „ 40 |
| თამარ-დედოფლის სამკაული | „ 10 |
| თამარ ლაზარე, ან. ფურცელაძის | „ 50 |


Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 мая 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.